აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№37 (25.165) 27 სექტემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, მთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმის თოჯინების მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი და დაუვიწყარი სანახაობა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

წელს ბათუმის თოჯინების მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მასშტაბები გაიზარდა და ქართულ დასებთან ერთად მასში ექვსი უცხოური დასი მონაწილეობს

გამარჯვებულები შვიდ ნომინაციაში ხუთწევრიანმა ჟიურიმ უნდა გამოავლინოს. ფესტივალის ფარგლებში, ხუთი დღის განმავლობაში, მაყურებელმა საკონკურსო და არასაკონკურსო 14 სპექტაკლი იხილა, ასევე, ჩატარდა მასტერკლასები და სემინარები.

ფესტივალი პრემიერით „ო-ჯახი“ გაიხსნა, რომელმაც ანშლაგით ჩაიარა.

პიესის ავტორები ნიკოლოზ საბაშვილი და ირაკლი კიკვაძე გახლავთ. იგი მოგვითხრობს ოჯახზე, რომლის წევრების ყოველდღიური ცხოვრება ერთფეროვანია, არსებობს დაწესებული ჩარჩოები და დოგმები. სწორედ ამ ყოფაში იბადება გოგონა, რომელსაც მათ ცხოვრებაში შემოაქვს ფერი და არღვევს მიუღებლობის ყველანაირ ზღვარს.

- დღეს ადამიანებში ყველაზე დიდი პრობლემა განსხვავებულების მიუღებლობაა და სწორედ ეს არის სპექტაკლის მთავარი სათქმელი. შეიძლება იყო განსხვავებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს მხოლოდ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისგან განსხვავებულობას - შესაძლოა, განსხვავებული აზრის გამოც მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის და სწორედ ამ პრობლემაზე ვსაუბრობთ. ჩვენი თეატრისთვის ეს განსხვავებული ჟანრი იყო და მეც პირველად ვიმუშავე ამ თემაზე. მგონი, შევძელით, რომ მაყურებლამდე სწორად მიგვეტანა სათქმელი. სასიამოვნო იყო ნიკოლოზთან ერთად მუშაობა, ურთიერთგაგება ყოველთვის არსებობდა და რი ჩართულობითაა შესრულებული ეს სპექტაკლი, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ფესტივალის ორგანიზატორმა ირაკლი კიკვაძემ.

- ამ თეატრში უკვე მეორედ დაიდგა ჩემი სპექტაკლი. „ო-ჯახი“ ჩემი და ირაკლი კიკვაძის ერთობლივი ნამუშევარია და მოხარული ვარ, რომ მასთან მუშაობის შანსი მომეცა. მი-

სხვათა შორის, არა მხოლოდ მსახიობების აზრს, არამედ ტექნიკური ჯგუფის აზრსაც ვითვალისწინებდით. მახარებს, რომ კოლექტიუ-

მაჩნია, რომ ბათუმის თოჯინების თეატრი კარგი ხელმძღვანელის ხელშია. წარმატება მინდა ვუსურვო ბათუმის თოჯინების თეატრს, რომელიც ჩემთვის ძალიან საყვარელი გახდა.

რაც შეეხება სპექტაკლს, გვინდოდა გვეჩვენებინა ის რეალობა, რა თქმა უნდა, მეტაფორული ენით, რაც დღეს ჩვენს სამყაროშია - ძალიან რომ გვიჭირს განსხვავებული აზრის მიღება. თუკი შევძელით და ერთი ადამიანი მაინც დავაფიქრეთ იმ პრობლემაზე, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, ესე იგი სპექტაკლი შედგა. მე და ირაკლი, შეიძლება ითქვას, ბევრ რამეზე ერთნაირად ვფიქრობთ, თანამოაზრეები ვართ და ასე შეხმატკბილებულად დაიდგა ეს სპექტაკლიც. წარმატებებს ვუსურვებ მას! - გვითრა ფესტივალის ორგანიზატორმა, რეჟისორმა ნიკოლოზ საბაშვილმა.

ფესტივალის ფარგლებში, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პოლონეთის თეატრმა „ბაი“ სპექტაკლი „ბედნიერება“ წარმოადგინა (საკონკურსო ჩვენება), რომლის რეჟისორი ბეატა ბობლინსკა გახლავთ.

- ამ სპექტაკლს ერთი თვის განმავლობაში ვდგამდით. მიუხედავად იმისა, რომ იგი, ძირითადად, პატარა ასაკის ბავშვებზეა გათვლილი, მხოლოდ რამდენიმე ბავშვი ესწრებოდა სპექტაკლს, თუმცა მგონი, ზრდასრულებმაც საკმაოდ ისიამოვნეს. სპექტაკლში არ არის დიალოგები, უფრო გამომსახველობითია და მოგვითხრობს იმაზე, რომ ყველაფრისგან შეიძლება შევქმნათ ხელოვნება. იმისათვის, რომ გადავდგათ პირველი ნაბიჯი, უნდა ვისწავლოთ წონასწორობის შენარჩუნება, ფეხზე დგომა. ამ ფესტივალზე უკვე მეორედ ვარ და ძალიან მიხარია, - გვითხრა ბეატა ბობლინსკამ.

მენეჯერებისთვის და სტუდენტებისთვის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა მასტერკლასიც თემაზე „ევროპული პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს კულტურას, საშემსრულებლო ხელოვნებას, როგორც სოციალურ ჩართულობას, მშვიდობასა და დემოკრატიას“ და მას ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ქრისტინა ლოგლიო (იტალია) უძღვებოდა.

- ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ აქ ვარ. მადლობა ბათუმის თოჯინების თეატრს და ხელმძღვანელებს საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებისთვის. ფესტივალის მონაწილეები ერთმანეთისგან სწავლობენ, არიან ღია მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით კი ევროპისთვის. პროფესორებსა და ლექტორებთან, ასევე, ფესტივალის აუდიტორიასთან ინფორმაციების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია. ბათუმი ნამდვილად საოცარი ქალაქია, ვფიქრობ, რომ ეს საერთაშორისო ფესტივალი დაამყარებს პროფესიულ კავშირებს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, - გვითხრა ქრისტინა ლოგლიომ.

ბათუმის ქუჩებში საზეიმო მსვლელობაც მოეწყო. ფრანგულმა თეატრალურმა დასმა ნამდვილი დღესასწაული გვაჩვენა. თოჯინების თეატრიდან ევროპის მოედნამდე მათ გიგანტური თოჯინისა და მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით პერფორმანსი მოაწყვეს. გასართობი შოუს კულმინაცია ევროპის მოედანზე ბათუმის თოჯინების თეატრში შექმნილ გიგანტურ თოჯინა „ხეტიალასთან“ შეხვედრა იყო.

ფესტივალის ფარგლებში რეჟისორ რაიმონ რუიზის (ესპანეთი) მასტერკლასიც ჩატარდა თემაზე: „ახალი ტექნოლოგიები თოჯინის შექმნაში“, რომელსაც დარგის სპეციალისტები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

იხ. გვ-9 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

წინასაარჩევნო განცხადებები – ბათუმის საკრებულოში

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

25 სექტემბერს საკრებულოს რიგგარეშე სდომა გაიმართა, რომელსაც პარტია „ლელოს“ წარმომადგენლის გარდა, ოპოზიცია არ ესწრებოდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დრო დეპუტატების განცხადებებს დაეთმო. პარტია „ლელოს“ წევრმა ვაჟა დარჩიამ მოსახლეობას მოუწოდა 26 ოქტომბერს ხმა მისცენ ქვეყნის მომავალსა და ევროპულ ღირებულებებს

- არჩევანი არის ერთი, ევროპასა და რუსეთს, რეპრესიებსა და თავისუფლებას შორის, რომ მშობლებს, რომლებიც ჩვენი პირველი გულშემატკივრები არიან, არ ურეკავდნენ შვილის გამო, არ დევნიდნენ მისი განსხვავებული აზრის გამო. ქვეყანამ უნდა მიიღოს ის სიკეთეები, რასაც რეალურად იმსახურებს. მე ამ ბრძოლაში თავი მიმაჩნია პრივილეგირებულად, ვიყო ამ ქვეყნის ჯარისკაცი და ყველას მოგიწოდებთ, ეს პრივილეგია გამოიყენოთ ამ ქვეყნის მომავლისთვის, - განაცხადა ვაჟა დარჩიამ.

უმრავლესობის წარმომადგენელმა ნატალია ზოიძემ კოლეგას ყოფილი ხელისუფლების ცხრაწლიანი მმართველობა შეახსენა და ოპოზიცია, ქვეყნისთვის მავნებლურ ქმედებაში დაადანაშაულა.

- სიტყვები არ მომეპოვება იმათ მიმართ, ვინც ჩადის უცხოეთში, ჩვენს ხელისუფლებას აბეზღებს. ან რა გმირობაა ეს, ან რა საქციელი? თუ რაიმე სათქმელი აქვთ, პირდაპირ თქვან, მოსახლეობა გაიგონებს გასაგონს და გააკეთებს სწორ არჩევანს. მაგრამ ქვეყნის შიგნით რომ არ აქვთ ამის იმედი, ამიტომ დარბიან ქვეყნის გარეთ და მათი მმართველობის პერიოდში რაც ძირგამომთხრელი საქმიანობა აკეთეს, იგივეს იმეორებენ ახლაც. ასეთი ძალადობის ფონზე მიიღო ქვეყანამ უვიზო მიმოსვლა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და აღარ ჩამოვთვლი იმ ნაბიჯებს, რაც ევროინტეგრაციისკენ გადაიდგა. ამ მიმართულებით სვლას განვაგრძობთ ღირსებით, - განაცხადა ნატალია ზოიძემ.

პარტია „ხალხის ძალის“ წარმომადგენელ ნინო ცხვარაძის განცხადებით, ოპოზიცია ერთი ქოლგის ქვეშაა გაერთიანებული და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს.

- სამწუხაროდ, ოპოზიციას საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, თუმცა, საბედნიეროდ, ადამიანებს არ აქვთ ვიწრო მეხსიერება და ის წარსული ბნელ ლაქად მოჰყვება ჩვენს ცხოვრებას. საინტერესოა, ვისი სახელით ელაპარაკება მოსახლეობას ნიკა გვარამია? როგორც პროკურორი, განათლების მინისტრი, ჟურნალისტი თუ პოლიტიკოსი? რეჟიმის ერთ-ერთ შემოქმედს არ აქვს უფლება, ხალხის სახელით გააკეთოს განცხადებები. როცა ღირსეულ პენსიაზე საუბრობს „ლელო“, იქნებ ჯერ ღირსეული საპროცენტო განაკვეთი შემოგვთავაზოს. ან, მოღალატე გახარიაზე რა ვთქვა მაშინ, როცა არჩევნებამდე გაერთიანებას ვერ ახერხებენ და კოალიციურ მთავრობას ჩამოაყალიბებენ. თქვენ უკან, ყოფილ ხელისუფლებას ვგულისხმობთ, ათასობით გაუბედურებული ოჯახია, რომლებიც რეაბილიტაციას ამ დრომდე ვერ ახერხებენ. მოგიწოდებთ, ჩემო ძვირფასო ბათუმელებო, მოდით 26 ოქტომბერს არჩევნებზე და სწორი არჩევანი გააკეთეთ, გააფერადეთ 41, რათა ჩვენმა ქვეყანამ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით შეძლოს ევროპულ ოჯახში გაერთიანება, - განაცხადა ნინო ცხვარაძემ.

საკრებულოს დეპუტატმა ნერიმან ცინცაძემ, „ქართული ოცნების“ პერიოდში ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, რაც მისი განცხადებით დიდი შეღავათი იყო მოსახლეობისთვის.

დეპუტატების განცხადებების შემდეგ, საკრებულომ დღის წესრიგით გათვალიწინებული 4 საკითხი განიხილა, რომელიც დეპუტატებს მერიის ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსმა დავით კოპინაძემ და მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსმა გიორგი წანაწყენიშვილმა გააცნეს.

საკრებულომ, რიგგარეშე სხდომაზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში შესატანი ცვლილებები დამტკიცა. ცვლილების მიხედვით, განკარგულებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხას დაემატა ორი ობიექტი, ხოლო უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმას, ასევე, ორი ობიექტი.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ბაგრატიონის ქ. №127-ის მიმდებარედ არსებული 441,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა, შემდგომში მისი სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომაზე დაამტკიცეს ქ. ბათუმში, ადლიის ქ. № 59-სა და ადლიის III ჩიხის № 1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. განკარგულების მიხედვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე იგეგმება მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა, რომლის გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისთვის იცვლება პარამეტრები, მათ შორის, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის სიდიდე, ასევე, მაქსიმალური სიმაღლეები და სხვა პირობები. პროექტით გათვალისწინებულია 80 მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი.

საკრებულომ, ასევე დაამტკიცა ქალაქ ბათუმში, ზღვისპირის ქ. №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. განკარგულების მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ორბი ჯგუფი მილენიუმი“ გეგმავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ცვლილება. პროექტში აღნიშნულია, რომ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პირობებში, გათვალისწინებული იქნება მიწისქვეშა და მიწისზედა საპარკინგე სივრცეების მოწყობა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 261-ე დადგენილების შესაბამისად.

სხდომის დასრულების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. როგორც ცნობილია, რამაზ ჯინჭარაძე მმართველმა პარტიამ, მიმდინარე არჩევნებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბათუმის დელეგატად დაასახელა. საარჩევნო პერიოდში, კანონმდებლობის შესაბამისად, ის მხოლოდ საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას შეინარჩუნებს. საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი თავდგირიძე შეასრულებს.

ქრონიკა

ბათუმში, №3-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, დამატებითი სასწავლო კორპუსის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, 600 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების 3-სართულიანი სკოლა აშენდება. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან, ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან და უმაღლესი საბჭოს წევრთან ტიტე არონშიძესთან ერთად გაეცნო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკლის მოწყობა. შენობა აღიჭურვება საჭირო ინვენტარით და სრულად იქნება ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ამჟამად, რეგიონში 6 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, წლის ბოლომდე კი ათამდე სამშენებლო პროექტის განხორციელება იგეგმება. 2012 წლიდან დღემდე, რეგიონში სულ 35 სკოლა აშენდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 130 საჯარო სკოლას.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს შეხვდა. თორნიკე რიჟვაძემ ლევან მგალობლიშვილს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. აჭარისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეებმა ერთმანეთს კოლეგა მინისტრები წარუდგინეს. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი ლაშა ქარდავა, აფხაზეთის კულტურისა და განათლების მინისტრი დავით მორგოშია და იუსტიციის მინისტრი გიორგი ძიგუა ესწრებოდნენ.

* * *

პროექტის „პირველადი ჯანდაცვისა და ჰოსპიტალური სექტორის გაძლიერება პაციენტთა სერვისების გაუმჯობესების მიზნით“ ფარგლებში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები, დღეს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძეს შეხვდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე და პროექტის განხორციელებაში ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დონეზე განსახორციელებელი პროექტები არაგადამდებ დაავადებათა მიმართულებით, როგორებიცაა ჰიპერტენზია და შაქრიანი დიაბეტი. როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოში პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მიზანი პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და მთელი ქვეყნის მასშტაბით სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობაა. მორიგი სამუშაო შეხვედრა გამოცდილების გაზიარების მიზნით პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებთან გაიმართება.

* * *

აჭარის მთავრობის გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, აჭარაში მზარდია ჯანდაცვის სერვისების დაფინანსება. მათივე ცნობით, სამინისტროს ბიუჯეტი ბოლო წლებში რვაჯერ გაიზარდა. სრულად იფარება გულის ქირურგია და ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის გეგმური და გადაუდებელი ოპერაციული მომსახურება. ფინანსდება ღვიძლის, ძვლის ტვინის და გულის ტრანსპლანტაცია, იფარება იშვიათი დაავადებების მკურნალობა ძვირად ღირებული მედიკამენტებით, ასევე, ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის სტაციონარული მომსახურება. „აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 30 წლამდე პირების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება. აამოქმედა სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა. მიმდინარეობს უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა მატერიალური მხარდაჭერა. ყოველწლიურად ფინანსდება 3000-მდე ბავშვის და 1000-მდე ზრდასრულის რეაბილიტაციის კურსი. სამინისტრო გასცემს 25 სახეობის დამხმარე საშუალებას. თავშესაფრით უზრუნველყოფს: თანადგომის ქსელის არმქონე დედებს და ბავშვებს, ფსიქიკური პრობლემების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის და გერიატრიულ პაციენტებს. 2012-2024 წლებში აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სერვისებით ისარგებლა 500 000-მდე მოქალაქემ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა საშუალებით თანადაფინანსება მიმდინარეობს. წელს პროგრამით 2800 მეტმა ფერმერმა უკვე ისარგებლა, ამ ეტაპზე კი 4 000-ზე მეტი ფერმერი დაფინანსდება. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ფერმერებისთვის ტექნიკის გადაცემის პროცესს დაესწრო. მისი განცხადებით, პროგრამის მიზანი, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა. პროგრამის ფარგლებში, მოტოკულტივატორის, ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატის, წვეთოვანი სარწყავი სისტემების, მარცვლეულის საფქვავის, რძის აპარატის, მეფუტკრეობის, ჩირის, საოჯახო ღვინისა და სპირტის საწარმოო საშუალებების და სხვა ტექნიკის შესაძენად, თანადაფინანსებამ, ბიუჯეტიდან 4 000 000 მილიონი ლარი შეადგინა. მინისტრის განცხადებით, 500-ზე მეტ ბენეფიციარს უახლოეს პერიოდში დაუფინანსდება მცირეფასიანი სამეურნეო საშუალებების შესყიდვა, თანადაფინანსებისთვის ბიუჯეტით 200 000 ლარია გათვალისწინებული.

* * *

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად, კერძო საბავშვო ბაღების სანიტარიულ-ტექნიკური და ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგის ფარგლებში ოთახებსა და კვების ბლოკში ჰიგიენურ ნორმებს შეისწავლიან, სისუფთავის ხარისხზე აიღებენ ანალიზის ნიმუშებს. ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით, სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ამ ეტაპზე 21 კერძო საბავშვო ბაღი შემოწმდა.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(აიპ) „აგროსერვის ცენტრი“ სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებისა და ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე პროგრამასა და ქვეპროგრამას ახორციელებენ. ბოლო წლებში ყურადღება მეფუტკრეობის განვითარებას ექცევა. „აგროსერვის ცენტრის“ ქვეპროგრამის „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“ - ფარგლებში, სკების ცარიელი ყუთების გაცემა დაიწყო. მეფუტკრე ფერმერები 2000 ცალ დადანბლატის ტიპის 10-ჩარჩოიან სკის ცარიელ კომპლექტს მიიღებენ. ქვეპროგრამა ხორციელდება მეფუტკრეობის დარგის განვითარების, ფუტკრის ოჯახების გამრავლებისა და ამორტიზებული სკების ჩანაცვლების მიზნით. ყველაზე მეტი განაცხადი ხულოს, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან იყო, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტიდან შეძენის სურვილი რამდენიმე მეფუტკრემ გამოთქვა. მოთხოვნილი ყუთების საერთო რაოდენობა 120 ცალია.

* * *

წინა საუკუნის 70-იან წლებში ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში ჭადრაკის სახლი აშენდა, რომლის საზეიმო გახსნას ნონა გაფრინდაშვილი დაესწრო. დროთა განმავლობაში შენობა მოძველდა. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, დიდაჭარაში ჭადრაკის ახალი სახლი აშენდება. სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ კონტრაქტორი კომპანია ელექტრონული ტენდერის მეშვეობით უკვე გამოავლინა. სამშენებლო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება და მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

საბედისწერო შეცდომების სავალალო შედეგები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ სამყაროში არაფერი იცვლება: ომი, აგრესია, ეკონომიკური ექსპანსია, ეთნოწმენდა და მცოცავი ოკუპაცია კვლავ რეალობაა. რუსეთის აგრესია უკრაინისადმი თითქმის ყველა ქვეყანაში პოულობს გამოძახილს - ბევრის ინტერესი კვეთს ერთმანეთს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ამავდროულად, შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის რუსეთისგან დისტანცირების კუთხით

რამდენად მოსალოდნელია სომხეთ-აზერბაიჯანის ისტორიული შეთანხმება? რა შეცდომები დაუშვა თავის დროზე დასავლეთმა და რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ? - ამ და სხვა საკითხებზე პოლიტოლოგი ***გელა ირემაძე*** *გვესაუბრება.*

- რა პროცესები მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში?

- აქ პროცესები საინტერესოდ ვითარდება. შესაძლოა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიონ ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც, გარკვეულწილად, კავკასიური ერთიანობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მკითხველს შევახსენებ, რომ ყარაბაღის მეორე ომამდე რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით სომხეთი რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებდა და მისი ეიმედებოდა. ყარაბაღის მეორე ომში განცდილმა მარცხმა და რუსეთის ღალატმა სომხეთის პოლიტიკური ელიტა მიახვედრა, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ამის აღქმამ - რუსეთის ვერაგობამ სომხეთის ელიტა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. კრემლი სომხეთის პრემიერ-მინისტრს ოპოზიციის სახით პრობლემებს უქმნიდა, თუმცა დასავლეთის მხარდაჭერით და არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით (რუსეთის გავლენები შემცირდა სომხეთსა და აზერბაიჯანში), სომხეთი აზერბაიჯანთან შეთანხმების მიღწევას ცდილობს, რაც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური გარემოს შესაქმნელად, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ რუსეთი, რომელიც, ცხადია, ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების კეთილდღეობასა და განვითარებას.

- ბოლო დროს სამხრეთ კავკასიის რეგიონს ექსპერტები რუსეთ-უკრაინის ომის ჭრილში განიხილავენ და ამბობენ, რომ ევრაზიის კონტინენტზე დაწყებული გადანაწილება კავკასიასაც შეეხება.

- დიახ, უკრაინა იბრძვის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის. უკვე მესამე წელია, ომი მიმდინარეობს, რუსეთმა ვერ შეძლო უკრაინის დამორჩილება, თუმცა ოკუპირებული აქვს დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონები. თავის მხრივ, კიევმა რუსეთის ტერიტორიაზე კურსკის რეგიონის ოკუპაცია მოახდინა, რამაც ამ ომს სხვა დატვირთვა მისცა (ამაზე სხვა დროს უფრო დეტალურად ვისაუბროთ). რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, უდავოა, რომ აზერბაიჯანი, პრაქტიკულად, რეგიონში ლიდერად ყალიბდება თურქეთის მეოხებით. სომხეთი ნელ-ნელა ცდილობს რუსეთის ორბიტიდან გასვლას და, დასავლეთის ძალისხმევით, აზერბაიჯანთან შეთანხმების მიღწევას. არც ჩრდილო კავკასიაშია ერთსულოვნება რუსეთთან მიმართებით. საყოველთაო მობილიზაციამ ჩრდილოკავკასიელები აღაშფოთა. საქმე ისაა, რომ, უმეტესწილად, უკრაინაში არარუსი მოსახლეობა ომობს და იღუპება, ანუ კრემლი მათ საზარბაზნე ხორცად იყენებს. ამას კარგად აცნობიერებენ ჩრდილოკავკასიელები. შევახსენებ თქვენს მკითხველს მნიშვნელოვან ფაქტს: როდესაც უკრაინამ კურსკის რეგიონზე შტურმი დაიწყო, კადიროვის გვარდია არ ჩაება ბრძოლაში, მიზეზად დაასახელეს, რომ მათი ელიტური რაზმი არ უნდა მონაწილეობდეს ასეთ ბრძოლებში და სხვა. ზოგმა რუსმა პროპაგანდისტმა ის მოღალატედ გამოაცხადა. სხვათა შორის, კადიროვს საკუთარი არმია ჰყავს დაახლოებით 20 ათასი მებრძოლით. ის ძალიან ცბიერი პოლიტიკოსია. ფიქრობს, თუ პუტინი დამარცხდა უკრაინაში ან მმართველობა დაკარგა, შესაძლოა, მისი განადგურებაც მოინდომონ - მას მტრები ჩეჩნეთსა და კრემლშიც ჰყავს.

- შესაძლებელია თუ არა ერთიანი კავკასიური სახლის შექმნა, მით უფრო, რუსეთის დაშლის შემთხვევაში?

- რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, ერთიანი კავკასიური სახლის შექმნა არარეალურია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამაზე არ უნდა ვიფიქროთ. ერთიანი კავკასიური პოლიტიკის შემუშავება ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგია. მოგეხსენებათ, სვანეთს ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი ესაზღვრება, რაჭასა და ხევს - ოსეთი, ხევსურეთს, თუშეთსა და კახეთს - ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი, ჯავახეთს - სომხეთი, ქვემო ქართლს - აზერბაიჯანი, ანუ თავად გეოგრაფიული მდგომარეობა გვაიძულებს, შევიმუშაოთ კავკასიური სტრატეგია. იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ მსოფლიო პოლიტიკა დინამიკური გახდა. არავინ უწყის, რა იქნება ხუთი და, მით უფრო, ათი წლის შემდეგ.

> ❝ *რუსეთი დროთა განმავლობაში დათმობს ჩრდილოეთ კავკასიას, ამიტომ აქედანვე უნდა დავიწყოთ ფიქრი და სტრატეგიის შემუშავება საერთო კავკასიური სახლის შესაქმნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცარიელ ადგილს სხვა აქტორი დაიკავებს და კავკასიელებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობს*

- რას გულისხმობთ?

- მაგალითად, 35 წლის წინათ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის დაშლას, მაგრამ ის დაიშალა. არც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნატოში გაწევრიანებას ივარაუდებდა ვინმე, თუმცა ეს უკვე ფაქტია. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. სხვათა შორის, ექსპერტი სტანისლავ ბელკოვსკი აცხადებს, რომ რუსეთი დროთა განმავლობაში დათმობს ჩრდილოეთ კავკასიას, ამიტომ აქედანვე უნდა დავიწყოთ ფიქრი და სტრატეგიის შემუშავება საერთო კავკასიური სახლის შესაქმნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცარიელ ადგილს სხვა აქტორი დაიკავებს და კავკასიელებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობს. ამ მხრივ ყველაზე ვერაგი რუსეთია. მან ისე დაყო და დაქსაქსა კავკასია, რომ შემდგომში გაერთიანებაზე არავის ეფიქრა. ქართულმა მხარემ ამ მიმართებით კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას, დაანახოს ჩრდილოკავკასიელებს რუსეთის რეალური სახე.

- ამ კუთხით დასავლეთი როგორ შეიძლება დაგვეხმაროს?

- რასაკვირველია, არავინ ამბობს, რომ უნდა ვაღიაროთ ჩრდილოკავკასიელთა დამოუკიდებლობა, თუმცა დასავლეთს უნდა ავუხსნათ, რომ რუსეთი ჩრდილოკავკასიელთა რუსიფიკაციას ცდილობს, ასევე, რეგიონში სრული დესპოტური მმართველობაა დამყარებული. ამ მხრივ ჩვენი მოკავშირეები დასავლეთში ჩეჩნური და ჩერქეზული დიასპორები არიან. როგორც ცნობილია, ჩვენმა ქვეყანამ აღიარა ჩერქეზთა გენოციდი, რომელიც ცარისტულმა რუსეთმა მოაწყო. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ უნდა გაანეიტრალოს რუსული პროპაგანდა. ცნობილია, რომ რუსი ჟურნალისტები საქართველოს პატარა იმპერიად, მცირე ხალხთა მჩაგვრელად წარმოაჩენენ, ამ დისკურსის შესაქმნელად გამოიყენეს სეპარატისტები.

- როგორც ცნობილია, ჩვენმა ქვეყანამ და დასავლეთმაც გარკვეული შეცდომები დაუშვეს.

- რუსეთის პირველი სამიზნე საქართველო იყო, ჩეჩნეთისთვის არ ეცალა. კრემლმა გამოიყენა საერთაშორისო ვითარება, თავიდათავი კი ის იყო, რომ მაშინ დასავლეთში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დეზინფორმაციული მანქანა მოქმედებდა, თითქოს განსხვავებულად მოაზროვნეებს სდევნიდნენ, ამას დაემატა ისიც, რომ 1991 წლის აგვისტოში ჯორჯ ბუშმა (უფროსი) გამსახურდიას ურჩია, დინების წინააღმდეგ არ წასულიყო, ანუ ხელი მოეწერა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისთვის. გამსახურდიას პასუხმაც არ დააყოვნა: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის დასავლეთის და, მით უფრო, რუსეთის მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა: კრემლის ძალისხმევითა და ფსევდოოპოზიციის მხარდაჭერით, გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს. უნდა ითქვას, რომ გამსახურდიას ხელისუფლებასაც ჰქონდა შეცდომები, ძირითადად, საკადრო პოლიტიკაში. უშეცდომო არავინაა!

- როგორც ამბობენ, ამ დამხობის ერთ-ერთი მიზეზი გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკა იყო.

- დიახ, ნაწილობრივ. სწორედ გამსახურდიას ძალისხმევით გახდა დუდაევი ჩეჩნეთის პრეზიდენტი. გარდა ამისა, დუდაევის, ისაკ აძოევის (ინგუშეთის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი) და გამსახურდიას ძალისხმევის შედეგად კრემლმა ვერ შეძლო მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დაპირისპირება საქართველოსთან. არადა, ამას ძალიან ცდილობდა. წარმოიდგინეთ, საქართველოს რომ ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და დაღესტნელები დაპირისპირებოდნენ, როგორი გამოძახილი ექნებოდა ამას დასავლეთში? მაგრამ კრემლმა ვერ შეძლო ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა, რადგან კავკასიელებმა კარგად იციან კავკასიის ისტორია, მით უფრო - ინგუშებმა და ჩეჩნებმა. საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლ მედეა თუშმალიშვილის განცხადება: „ზვიად გამსახურდია იყო ის ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც თბილისში ჩამოსულ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს უთხრა: შემოიყვანეთ კავკასიაში ნატოს ჯარები და ამ ურჩხულისგან გადაგვარჩინეთ“.

- მაშინ, სამწუხაროდ, დასავლეთს ჩვენთვის არ ეცალა.

- იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდიას ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... ამ დიდ მიზანს გამსახურდიამ სიცოცხლე შესწირა. მისი მოცილების შემდეგ კრემლს გაუადვილდა ჩეჩნეთის დამორჩილება. ამ მხრივ, რაც უნდა უცნაური იყოს, დასავლეთს წარმოადგენდა ჩეჩნეთი, ანტიდასავლურ ძალას კი რუსეთი, მაგრამ ამის გაანალიზება აშშ-სა და ევროპას გაუჭირდა, რუსული პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობდა, სურათი ისე წარმოეჩინა, თითქოს რუსეთი ტერორიზმს ებრძოდა. სამწუხაროდ, მაშინ ჩეჩენთა ნაწილი უნებურად დაეხმარა კრემლს და დასავლეთიც, რომელიც, ძირითადად, ბალკანეთის პრობლემით იყო დაკავებული. 2008 წელს თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარებოდა რუსეთის დესტრუქციულობაში, ყირიმის ანექსიამ და, ამჯერად, უკრაინის წინააღმდეგ ღია აგრესიამ ამას საბოლოოდ ახადა ფარდა. ყველა დარწმუნდა, რომ რუსეთი აგრესორი სახელმწიფოა, ამიტომ თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება ზეწოლა, მაშინ თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ.

- დაბოლოს, რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა მხარემ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისთვის?

- პირველ რიგში, საქართველო უნდა გახდეს უფრო დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, პოლიტიკოსებს შორის პაექრობა უნდა იყოს ცივილური და არგუმენტირებული, განსხვავებული აზრის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ, რათა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ადამიანებმა და ასევე ჩრდილოკავკასიელებმა დაინახონ განსხვავება საქართველოსა და რუსეთს შორის, ანუ ისინი უნდა მოიხიბლონ ჩვენი ტოლერანტობით, სტუმართმოყვარეობით და დემოკრატიული მიღწევებით, დროთა განმავლობაში ეს ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

„მოტივაცია, რაც მუდამ მამოძრავებდა, თვითგანვითარებისკენ სწრაფვაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ზვინაბ გვარიშვილი იუბილარია - მან ნახევარი საუკუნე უკან მოიტოვა. დღეს იგი ჩვენი სტუმარია

- წარმოშობით ქობულეთის სოფელ ხალიდან გახლავართ, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ მე-3 თაობის ბათუმელი ვარ. ბაბუა და მამაც ბათუმის მკვიდრები იყვნენ. ბათუმის პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე. მოსწავლეობის პერიოდს ვიხსენებ როგორც ერთ-ერთ ნათელ, ლაღ და პროდუქტიულ პერიოდს ჩემს ცხოვრებაში.

- ერთეულების ხვედრია უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იმავე საგანმანათლებლო კერაში დარჩენა...

- ამას ჩემი სადიპლომო თემის ხელმძღვანელს, მენტორს და უფროს მეგობარს, ქალბატონ რუსუდან ბეჟანოვას ვუმადლი. სწორედ მან გამიღვივა პროფესიისადმი და, ზოგადად, სამეცნიერო საქმიანობისადმი ინტერესი.

- ერთობ საინტერესოა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესატყვისობაში მოდის თქვენი სადოქტორო დისერტაციის თემა.

- ჯერ კიდევ სადიპლომო თემაზე მუშაობის დროს, რომელიც ლათინური ენიდან ინგლისურ ენაში განვითარების სხვადასხვა პერიოდში დამკვიდრებული ლექსიკის კვლევას ეხებოდა, ჩემი ყურადღება რელიგიური შინაარსის ლექსიკამ მიიპყრო. აღნიშნული ლექსიკური ერთეულების დიაქრონიულმა კვლევამ შემდგომ სადისერტაციო თემაში გადაინაცვლა. რელიგიური ლექსიკის ეტიმოლოგიისა და ინგლისურ ენაში სემანტიკური ტრანსფორმაციის კვლევის ხაზი გაგრძელდა დღემდე. ამდენად, თემის არჩევანიც ჩემთვის რთული არ ყოფილა.

- ასოცირებული პროფესორი, ორი სახელმძღვანელოს, ერთი მონოგრაფიისა და 30-ზე მეტი მეცნიერული სტატიის ავტორი, მეუღლე, დედა... რა გაძლევთ მოტივაციას?

- ერთადერთი მოტივაცია, რაც მუდამ მამოძრავებდა და, ვფიქრობ, მომავალშიც ასე იქნება, თვითგანვითარებისკენ სწრაფვაა - მინდა, დღეს გუშინდელზე უკეთესი ვიყო. ერთადერთი კონკურენტი, ვისაც მუდმივად ვეჯიბრები, საკუთარი თავია.

- ოჯახი და მისი როლი...

- მუდმივად ვგრძნობ ოჯახის წევრების მხარდაჭერას ნებისმიერ წამოწყებაში. ეს ის ემოციური მუხტია, რომლის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია, იყო სავსე და სრულფასოვანი ადამიანი, შესაბამისად, საქმე სიყვარულით და ხარისხიანად აკეთო.

- მედიკოსი მეუღლე და მეცნიერი ქალი... ერთმანეთს როგორ ავსებთ?

იხ. მე-5 გვ.

„უნდა ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა და დროებითი პარლამენტი“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

წინასაარჩევნო პერიოდში, სანამ ჯერ კიდევ მიმდინარეობს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება, საკმაოდ ქაოსური ვითარებაა. ცალკეული პოლიტიკოსები ცდილობენ სიტუაციის შეფასებას და მათთვის მართებული არჩევანის გაკეთებას. ყოველდღიური პროცესები სწრაფად ვითარდება და არავინ იცის, საბოლოოდ რომელი ცნობილი პოლიტიკური სახე რომელ პარტიასა თუ კოალიციაში აღმოჩნდება. ბევრმა, საერთოდ, გადაწყვიტა, ჩამოშორდეს პოლიტიკას, რადგან აღარ სურს დაძაბულ და დაუწყობელ საარჩევნო სიტუაციაში ჩართვა

გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ***მედეა ვასაძესთან.***

- დავიწყოთ წინასაარჩევნო პერიოდის მიმოხილვით...

- ახლა მართლაც საინტერესო, ამასთან, მძიმე და რთული წინასაარჩევნო პერიოდია. ჩემი უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილების მიუხედავად, ვერ ვიხსენებ პარტიათა ასეთ მრავალფეროვნებასა და მსგავს პოლიტიკურ ქაოსს, მით უმეტეს, ასეთი „მძიმეწონიანი“ პოლიტიკური სუბიექტების ჩართვის თვალსაზრისით.

- რაღაც კატეგორიებად ხომ მაინც შეიძლება პოლიტიკური გაერთიანებების დაყოფა, რაზე უნდა გააკეთოს ამომრჩეველმა აქცენტი?

- არჩევანი უნდა გააკეთოს რუსეთის შემყურე პარტიებსა და ევროპული მიმართულების მქონე პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. ამომრჩეველმა უნდა გაითვალისწინოს, რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრება ამა თუ იმ პარტიისთვის ხმის მიცემის შემთხვევაში, რადგან მასზე იქნება დამოკიდებული, საქართველო ვისი გავლენის ქვეშ მოექცევა. სწორედ ამ არჩევნებზე წყდება ქვეყნის ბედი. თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რა გველის მთელ ერს.

- ქალბატონო მედეა, რა პოზიციის დაკავებას აპირებთ მოახლოებულ არჩევნებში, გაქვთ თუ არა კონკრეტული შემოთავაზებები?

- ურთულესი არჩევანის წინაშე ვდგავარ. იმის მიუხედავად, რომ უამრავი ადამიანი მიკავშირდება, მეკითხება, მაინც ვერ ვახერხებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ისიც კი გამოვაცხადე, რომ აქტიური პოლიტიკიდან მივდივარ. ფაქტია, რომ ასაკიც მაქვს, ჯანმრთელობაც არ მიწყობს ხელს... რაც შეეხება შემოთავაზებებს, ისეთი წინადადება მივიღე, რომელზე დაფიქრებაც ღირს. ახლა ვერ გავაჟღერებ, მაგრამ თუკი საბოლოოდ გადავწყვიტე, მაშინ განვაცხადებ. აქვე ცალსახად ვამბობ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოვედი და დაბრუნებას არ ვაპირებ. „ქართულ ოცნებაში“ დარჩენაც ჩემთვის წარმოუდგენელი გახდა თავის დროზე და არც ახლა შეცვლილა რამე.

- მახსოვს, დიდ იმედებს ამყარებდით მაშინ „ნაციონალებზე“...

- მართალი ხართ, მაგრამ ჩემი „ნაციონალებთან“ ინტეგრაცია ვერ მოხერხდა ვერც მაშინ და ვერც შემდეგ. მოგეხსენებათ, მათთან მწვავე ოპონირების 9 წელი მაკავშირებს, თუმცა ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დისკომფორტი არ შემქმნია, არავითარი შეზღუდვა არ მიგრძვნია. ხანდახან ვფიქრობდი, ასეთი თავისუფალი როგორ ვარ და ვეჭვიანობდი კიდეც, ჩემს ადგილს „ნაციონალები“ დაკარგულად ხომ არ მიიჩნევდნენ-მეთქი.

- ამის მიუხედავად, მაინც ვერ შეეწყვეთ პარტიას, რომლის კვოტითაც უმაღლეს საბჭოში მოხვდით?

- დიახ, ვერ მოვახერხე ინტეგრირება, თითქმის არც დავდიოდი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში. მოდით, ასე ვთქვათ: ეს არ იყო ჩემი ადგილი, სადაც საკუთარი პიროვნების ბოლომდე გამოხატვას შევძლებდი. სულ სხვა გარემო აღმოჩნდა. სათქმელი ბევრი მქონდა როგორც „ოცნების“, ისე „ნაციონალების“ შესახებ, მაგრამ ვერ ვახერხებდი ამომწურავად თქმას, რასაც საჭიროდ ვთვლიდი... მოკლედ, ვერ ვიყავი მაინცდამაინც კარგად. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დავაფიქსირო პოზიცია: ახლაც მიმაჩნია, რომ სააკაშვილი ციხეში არ უნდა იჯდეს. მისი გარეთ ყოფნა, ამ ეტაპზე, მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, უებარი წამალია.

- რამდენად შესაძლებელია სააკაშვილის გათავისუფლება?

- ისე ჩაკეტეს სამართლებრივად, რომ მისი გათავისუფლება ამ ეტაპზე ვეღარ ხერხდება. პრინციპში, ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები.

- რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს დღეისთვის ყველაზე მკვეთრად განსაზღვრული პრიორიტეტი?

- ასეთი პრიორიტეტი აქვს ყველა პარტიას, რომელსაც ევროპული მიმართულება და გზა აქვს არჩეული. აქ არის როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე მელია-გვარამიას, ხაზარაძისა და გახარიას გუნდები. ფაქტია, ამათგან ავირჩევ რომელიმეს, მათაც თავიანთი ცოდვები აქვთ და... არცთუ ისე მცირე, მაგრამ რადგანაც ახლა მეტ-ნაკლებად ვიმყოფები პრეზიდენტის ქარტიის გავლენის ქვეშ, მაინც ვფიქრობ, რომ ამ არჩევნების შედეგებით უნდა ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა, დროებითი პარლამენტი, ხოლო როდესაც ქვეყანა დამშვიდდება და პოლიტიკური სპექტრი მწყობრში ჩადგება, უნდა ჩატარდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები.

- რისი იმედი გაქვთ ამ გადავადებით?

- იქნებ გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა ან ისე გადახალისდეს, გაჯანსაღდეს პარტიების შემადგენლობები, რომ შეძლონ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლა და ქვეყნის ნორმალურად მართვა. ეს არის ჩემი პირადი აზრი, მე ასე მინდა და, თუ მომესწრო, ძალიან ბედნიერი ვიქნები... ცუდი პერიოდია ახლა საქართველოში, ამხელა უნდობლობა, უიმედობა, ფარისევლობა, ტყუილები, ბოდიშები მტრის მიმართ... ჩვენი მოქმედი ხელისუფალის ამ ქმედებამ კი არ გამაბრაზა, დამსტრესა... ან ამ ტრანსგენდერი ქალის მკვლელობა რა იყო... მიმაჩნია, რომ ეს მოხდა ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო.

- რას გულისხმობთ?

- ამ ადამიანებზე ხელისუფლების მხრიდან წაქეზება არაფრით შეიძლება. თუკი არაფერს აშავებენ, კრიმინალი თუ არ არის, ვაცალოთ ამ ხალხს ისე ცხოვრება, როგორც უნდათ. ან ის მამაკაცები ჯანმრთელები არიან, ვინც მათთან თანაცხოვრობენ?! სრულფასოვნად მე არც იმათ ვთვლი, არადა, რამდენი მახინჯი ქცევის, ბუნების ქალს ვხვდებით სოციუმში... კესარია ლამაზი მაინც იყო... და ამიტომ ყველამ თავის მამიდას და კარადებში საკუთარ „ჩონჩხებს“ მიხედოს.

- უკაცრავად, მაგრამ ხელისუფლება რა შუაშია მთელ ამ ტრაგედიასთან? მკვლელს ხომ პირადი ურთიერთობა ჰქონდა მსხვერპლთან და მანამდეც ემუქრებოდა ფიზიკური ანგარიშსწორებით.

- უბედურება სწორედ ის არის, რომ კესარია აბრამიძე მოკლეს სულ რაღაც ერთი დღის შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ანტი-LGBT კანონი მიიღო, ანუ მკვლელი, ქვეცნობიერში მაინც ფიქრობს, რომ სახელმწიფო და, შესაბამისად, კანონი, ლოიალური იქნება განაჩენის გამოტანისას. წინმსწრები პროპაგანდაც არასწორი იყო.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფაქტობრივად, დაიშალა, რითაც აშკარად დაკარგა კონკურენტუნარიანობა...

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ მაშინ გაიხლიჩა, როდესაც მასთან თანამშრომლობის შუა პერიოდში ვიყავი. პირადად მე ძალიან მომწონს გიორგი კირთაძე და ვთვლი, რომ მისი წასვლა ჩვენი შვიდკაციანი ჯგუფისთვის დიდი დანაკარგი იყო. გიორგის მაღალი რეიტინგი ჰქონდა ქალაქში, თუმცა მაშინ მას ზურგს „ნაციონალური მოძრაობა“ უმაგრებდა. დღეს რას იზამს ამ მხარდაჭერის გარეშე, ვერ გეტყვით. თბილისშიც იგივე სიტუაციაა ამ მიმართულებით. „თამაშგარე მდგომარეობაშია“ ბევრი საინტერესო პოლიტიკური ფიგურა. მაგალითად, არ ვიცი, სად დადგებიან გუბაზ სანიკიძე, თაკო ჩარკვიანი... მურმან დუმბაძეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ამიტომ შესაძლებელია, ამ ეტაპზე დასვენება გადაწყვიტოს. ასე რომ, ჯერ დედაქალაქში არ არის ფორმირებული პოლიტიკური ველი, არათუ აჭარაში. არადა, კანდიდატების წარდგინების ვადა იწურება - 26 სექტემბერია ბოლო დღე. როგორც იცით, ყველასათვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა ორბელიანების სასახლეში პრეზიდენტის მიწვევით „გახარია - საქართველოსთვის“ და „ძლიერი საქართველოს“ ლიდერების შეხვედრა. სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ შედგა, თუმცა ამ ორ ამბიციურ პოლიტიკურ ძალას შორის დაწყებული დისკუსია პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს მომდევნო მოწვევის პარლამენტში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ხაზარაძე და გახარია უცებ ვერ გადაწყვეტენ ბევრ საკითხს. უკვე იმდენად ცოტა დრო დარჩა, ვერ მოასწრებენ საბოლოო მორიგებას, მაგრამ თუკი მაინც გაერთიანდებიან, ცხადია, მკვეთრად შეიცვლება საქართველოს პოლიტიკურ ველზე ძალთა განლაგება.

- ელექტრონულ არჩევნებზე რას იტყვით?

- ზოგადად, ნებისმიერ ტექნიკას ეჭვქვეშ ვაყენებ. უბანზე შესაძლებელია, ყველაფერი წესრიგში იყოს, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება.

- ამბობთ, რომ ხმებს ელექტრონული აპარატურის მეშვეობით გააყალბებენ. როგორც ცესკო აცხადებს, აპარატურა არ უკავშირდება ინტერნეტს და გარედან ზემოქმედება წარმოუდგენელია...

- ალბათ, ასეცაა. ვფიქრობ, გაყალბება მაინც გარედან მოხდება მომზადებული და მოსყიდული ადამიანების გამოყენებით, თანაც ყველგან არ დამონტაჟდება ხმების დათვლის ელექტრონული ტექნიკა.

- ძალიან ცოტა უბანი რჩება, თანაც... მინიმალური ამომრჩევლით.

- ეს ნამდვილად ასეა, იმ უბნებში არაა იმ რაოდენობის ამომრჩეველი, გაყალბებამ დიდი ზეგავლენა რომ მოახდინოს საბოლოო შედეგებზე, მაგრამ...

- „მაგრამ“... მაინც ელოდებით გაყალბებას?

- რასაკვირველია, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ძალიან ძნელად თმობს პოზიციებს, გაჯიუტებულია ისეთ საკითხებში, რაც აშკარად არ ასხამს წყალს მის წისქვილზე. თავად განსაჯეთ: თუკი არ ერიდება არც მოსალოდნელ არჩევნებს და არც ხალხის ნეგატიურ რეაქციას, მაშინ რისი იმედი აქვს, თუ არა წინასწარ დაგეგმილი მასშტაბური გაყალბებისა? განათლებული, ცივილიზებული მსოფლიოს თითქმის უმეტესი ნაწილი გადაიმტერა. აბა, ვის და რის ხარჯზე აპირებს ფონს გასვლას?.. არადა, უმძიმესი მოვლენები განვითარდება, თუკი მართლა გააყალბებენ ხალხის არჩევანს. აი, ვნახოთ, რამდენს გაბედავენ და რას გაბედავენ.

- მაჟორიტარული სისტემის „წარმომადგენლებით“ ჩანაცვლებაზე რას გვეტყვით?

- იმის განცხადება, რომ მაჟორიტარებს ითხოვს მოსახლეობა და ამიტომ ჩაანაცვლეს ეგრეთ წოდებული წარმომადგენლებით, ისეთი სუსტი არგუმენტია, რომ ვერანაირ კრიტიკას უძლებს. ეს არის მცდელობა, კონკრეტული პიროვნება იყოს პასუხისმგებელი კონკრეტულ უბანზე და ამ პიროვნების ავტორიტეტის ხარჯზე გაიყვანონ პარტიული სიის დანარჩენი წევრები. დარწმუნებული ვარ, აქ ჩართული ეყოლებათ „მსუყე“ პიროვნებები, რომლებიც ცალსახად მოისყიდიან ამომრჩევლებს ან დაპირებებით, ან ფულით, ან, სულაც, მუქარით აიძულებენ ხმის მიცემას... აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ კატეგორიულად მცდარია პარლამენტის სპორტულ მოედნად, ფილარმონიად თუ ფულიანი ტიპების სათავსოდ ქცევის მცდელობა. კანდიდატებს რომ გადავხედე, ეს სწორედ ასე ჩანს.

- გენდერის კვოტირება მოხსნილია დღის წესრიგიდან. მაინც რა დატვირთვა ჰქონდა თავის დროზე?

- დიახ, აღარ არის. ადრე საარჩევნო კოდექსი გენდერულ კვოტირებას ითვალისწინებდა და პოლიტიკურ სუბიექტებს ავალდებულებდა, პარტიულ საარჩევნო სიაში ყოველ მეოთხე კანდიდატად განსხვავებული სქესის წარმომადგენელი მიეთითებინა. მაშინდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ეს წესი მომდევნო წლების არჩევნებზე ქალთა წარმომადგენლობის ეტაპობრივ ზრდას ითვალისწინებდა. გავიდა დრო, თუმცა ლიდერი ქალები ისევ ისე ლიდერებად დარჩნენ, ხოლო ახლები ვერ შეეთვისნენ პოლიტიკას, ვერ „გაქაჩეს“. ძალიან ცოტამ შეძლო ამ სფეროში თავის დამკვიდრება. პრინციპში, თავის დროზე ვბუზღუნებდით, რომ ქალმა თავად უნდა დაიმსახუროს პოლიტიკაში მოსვლა საკუთარი ავტორიტეტითა და პიროვნული ღირსებებით, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ ამ მიმართულებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს ცოტა ბიძგი სჭირდებოდათ, რაც უზრუნველყო იმ კანონმა... ამიერიდან, ალბათ, ისევ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით „აისახებიან“ ქალები პოლიტიკურ ველზე. საუბრის დასასრულს მინდა გითხრათ, რომ ლაღი საქართველოს ხილვა მსურს, თუმცა ვერ ვხედავ ამის წინაპირობას. დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაჯაროების შემდეგაც გვექნება სირთულეები. კი, ბატონო, ევროპასთან მიმართებაში ოპოზიცია ერთი ქუდქვეშ ვართ გაერთიანებული, მაგრამ ზოგადად - განსხვავებული პოზიციების, ბიოგრაფიების, ცხოვრების წესის, ყოფითი ფაქტებით დაპირისპირებული ადამიანების გაერთიანება გვაქვს და რამდენად მოხდება ამის შენარჩუნება შემდგომ, უფრო რთულ ეტაპზე, უცნობია. არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგიერთმა სამომავლოდ პოზიცია შეიცვალოს, ყველაფერს გამართლება რომ უპოვოს. არ ვიცი, რა მოხდება, რადგან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და ქაოსურია წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარება.

> ***„ ისეთი წინადადება მივიღე, რომელზე დაფიქრებაც ღირს. ახლა ვერ გავაჟღერებ, მაგრამ თუკი საბოლოოდ გადავწყვიტე, მაშინ განვაცხადებ. აქვე ცალსახად ვამბობ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოვედი და დაბრუნებას არ ვაპირებ. „ქართულ ოცნებაში“ დარჩენაც ჩემთვის წარმოუდგენელი გახდა თავის დროზე და არც ახლა შეცვლილა რამე***

გია აბულაძე: კიდევ უფრო ამბიციური გეგმით მოვდივართ

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე მთელი ძალით მიმდინარეობს. ოპოზიცია რთული ამოცანის წინაშეა - ხელისუფლებას უნდა ჩამოაშოროს „ქართულ ოცნება“, გუნდი, რომელიც 12 წელია, მართავს ქვეყანას. პარალელურად, ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოსთვის მოულოდნელად გაიხსნა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფანჯარა ევროპისკენ. ქვეყანას მიეცა შანსი, თუმცა ამისთვის ევროკავშირის რეკომენდაციები (12-პუნქტიანი გეგმა) აქვს შესასრულებელი. ოპოზიცია, რომელიც მოვლენების ავანგარდში უნდა იყოს, ბოლო პერიოდში საკუთარი შიდა გარჩევებით უფროა დაკავებული. „ნაციონალური მოძრაობა“, მმართველი გუნდის შემდეგ, მეორე დიდი პარტია იყო ქვეყანაში. ექსპერტების აზრით, მიუხედავად კრიზისისა, დიდი ალბათობით, ის ამ ადგილს ამ არჩევნებისთვისაც შეინარჩუნებს - ეჭვგარეშეა, რომ სხვა ოპოზიციურ პარტიებზე უკეთეს შედეგს მიიღებს, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობის მოპოვება გაუჭირდება

ამ თემაზე გვესაუბრება უმაღლესი საბჭოს წევრი, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი **გია აბულაძე.**

- ეს არჩევნები განსხვავებულია, სრულად პროპორციული სისტემით ტარდება, ხმის დათვლის ელექტრონული მანქანებით. თქვენ რა აზრის ხართ ამ ცვლილებებზე?

- ყველაზე მთავარი არის არა ელექტრონიკა თუ არჩევის განსხვავებული წესი, არამედ ის, რომ რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი მოვიდეს უბნებზე და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, რადგან სხვა გზით ვერაფერი შეიცვლება. დღეს ისეთი მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში, რომ ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რათა წვლილი შეიტანოს საქართველოს გადარჩენაში. თუკი ყველა მოვა, „ოცნება“ ვერც ტექნიკით და ვერც სხვა რამით შეძლებს არჩევნების შედეგების გაყალბებას. მინდა მივმართო მოსახლეობას, რომ განსაკუთრებით აქტიურები ვიყოთ ამ არჩევნებზე.

- არჩევნებამდე 11 თვით ადრე დაიშალა ქვეყნის ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური პარტია - „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ლიდერი და დამფუძნებელი მიხეილ სააკაშვილია. რამდენად დაგრჩათ გამარჯვების შანსი?

- მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით, 80%-ზე მეტს სურს ევროპისკენ სვლა. აქვე აგიხსნით, რას ნიშნავს ეს. შეიძლება შეკითხვას ცოტა გადავუხვიო, მაგრამ საბოლოოდ სწორად გავცემ პასუხს. გადახედეთ აჭარის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მონაცემებს და ნახავთ, რომ რეგისტრირებულია 147 ათასზე მეტი ადამიანი, ანუ ყველა საჭიროებს სოციალურ დახმარებას. აქვეა 24 ათასზე მეტი 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ახლა თავად განსაჯეთ, 360 ათასი ამომრჩევლიდან თითქმის ნახევარი გაჭირვებულია. როდესაც ასეთი სტატისტიკა გაქვს და ასეთი ცუდი ეკონომიკური მაჩვენებელი, ცხადია, ყველა ამჯობინებს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოსაღები აღმოჩნდეს მმართველი პარტია, რომელიც უკვე 12 წელია, მართვის სადავეებთან დგას და ვერაფერს მიაღწია. პროგრამას როდესაც წარვადგენთ, მასში ავსახავთ ეკონომიკის განვითარების ისეთ გეგმას, რომელიც აშკარად დაანახებს ხალხს, რისი გამკეთებელი ვართ, მით უმეტეს, რომ უკვე ნახეს, რა შეგვიძლია და როგორ სწრაფად დავაყენეთ ფეხზე გაღატაკებული, აბსოლუტურად არაფრის მქონე ქვეყანა. ჩვენი პროგრამის მიხედვით, უმუშევრობა აღმოიფხვრება და ისეთ მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ ჩვენი მოქალაქეები, რომ აღარ დასჭირდებათ ოჯახების სარჩენად საზღვარგარეთ გასვლა.

- თქვენ ახლა ასე ამბობთ, ყველა აფრქვევს დაპირებებს, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაფერი კეთდება.

- აბა, ახლა გადავხედოთ, რა გაქვთ ჩემ მიერ ჩამოთვლილი დაპირებების საპირწონედ... ივანიშვილი, რომელიც გვპირდება მხოლოდ და მხოლოდ ძალადობას.

- ბატონო გია, ძალადობა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აკლდა?

- ახლა არ არის ამაზე ლაპარაკი, ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკის აყვავებაზე. რას გვპირდებოდა გასულ არჩევნებზე „ქართული ოცნება“? სოფლის მეურნეობის აყვავებას თუ უფასო პურს, სხვა უამრავ რაღაცას. რა შეასრულა? არაფერი! ახლა ამასაც აღარ გვპირდებიან, პირდაპირ აცხადებენ: ხმას თუ არ მოგვცემთ, თქვენზე ვიძალადებთო.

- უკაცრავად, როგორი ფორმით ამბობენ „ვიძალადებთ“? ცოტა დავიბენი...

- სხვა რა არის, თუ არა ძალადობა, როდესაც იმუქრებიან, რომ გააუქმებენ პროდასავლურ პარტიებს, როდესაც უტევენ სამოქალაქო საზოგადოებას და არ სურთ ქვეყანაში დამოუკიდებელი, პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა... და ამ ბოლო დროს ყველაფერ ამას წარმატებით ართმევენ თავს.

- მაჟორიტარული სისტემის ჩანაცვლებაზე რას იტყვით?

- ეს არის მინიოლიგარქიული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხალხს პირდაპირი ტექსტით ეუბნებიან, რომ ესა თუ ის პიროვნება იქნება თქვენი პატრონი. მაგალითად, ხულოში - ვახტანგ ბერიძე, ხელვაჩაურში - მინდია დიასამიძე და ასე შემდეგ.

- „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ თავად ხალხი ითხოვს კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში წარადგენს მათ მოთხოვნებს.

- ხალხს სჭირდება ნორმალური სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მოემსახურება თითოეულ მათგანს ყოველგვარი კონკრეტული პირის აღზევების გარეშე და არა - ფეოდალური წყობის გადმონაშთი.

- თქვენ რას სთავაზობთ ამომრჩეველს?

- ვთავაზობთ, შეიქმნას ისეთი სისტემა, სადაც ხალხი იქნება მთავარი და გადაწყვეტილებების მიღებაში გაიზრდება მოსახლეობის მონაწილეობა. ამის დასტურია კანონპროექტი, რომელიც წარვადგინეთ უმაღლეს საბჭოში. იქ წერია, რომ ბიუჯეტის განხილვა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტებში და მოსახლეობის მიერ დასმული კითხვები და წამოჭრილი საკითხები შემდგომ უნდა განიხილებოდეს უმაღლეს საბჭოში, „ქართული ოცნება“ კი აპირებს ამოეფაროს კონკრეტულ პიროვნებებს, მათ ფულს და ავტორიტეტს. ალბათ მიხვდნენ, რომ მათ პარტიას აღარ შერჩა არანაირი რეიტინგი და გამარჯვების მოსაპოვებლად სჭირდებათ დელეგატი, რომელიც მთელ საარჩევნო სიას გაიტანს საკუთარი მხრებით.

- რამდენად შეძლებს დაქსაქსული „ნაციონალური მოძრაობა“ მმართველი პარტიისთვის კონკურენციის გაწევას?

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა და არც არსად წასულა, ეს მორიგი ტყუილი და ხალხის შეცდომაში შეყვანაა. ჩვენი პარტია 2012 წლამდე წარმატებით იბრძოდა ევროპული სახელმწიფოს და დამოუკიდებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბებისთვის. უკვე ვაჩვენეთ ხალხს, როგორი რეგიონის შექმნა შეიძლება აჭარაში. ახლაც რომ გადახედოთ „ქართული ოცნების“ ბანერებს და ბილბორდებს, დარწმუნდებით, რომ ჩვენ მიერ აშენებული და გაკეთებული საწარმოები, სახლები თუ უბნებია ზედ გამოსახული, ანუ ეს უკვე გავაკეთეთ და ვერავინ წაგვართმევს, ახლა კიდევ უფრო ამბიციური გეგმით მოვდივართ - წარვუდგენთ მოსახლეობას და, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დააფასებენ და შეფასებენ იმ შესაძლებლობებს და პერსპექტივებს, რასაც ვთავაზობთ ქვეყანას. ყველამ იცის, რომ მოქალაქეებთან კომუნიკაცია არ შეგვიწყვეტია, არსად წავსულვართ, არც დავშლილვართ და არც ვაპირებთ გაქრობას, რაზეც მმართველი პარტია ოცნებობს. ვაგრძელებთ ბრძოლას, სანამ ჩვენი ქვეყანა ევროპული ცივილიზაციის რელსებზე არ შედგება.

- თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ ეკონომიკური პროგრამა, რომელიც გააძლიერებს საქართველოს. თუ შეგიძლიათ დაგვიკონკრეტოთ, რაზეა ლაპარაკი?

- თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით გვექნება საინვესტიციო პროექტები, იქვე გაიწერება, რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნება და რა თანხები შევა ბიუჯეტში ამ პროექტების რეალიზაციის შემთხვევაში. მოქალაქე თავად დაინახავს, რამხელა პოტენციალი აქვს ამ რეგიონს და კორუფციის თუ სახელმწიფოებრივი სიბეცის გამო ვერაფრის გაკეთება ვერ ხერხდება. ჩვენ ძალიან სწრაფად შეგვიძლია ყველა ამ პროექტის ამუშავება. ხალხმა კარგად იცის, რისი გამკეთებლებიც ვართ, რაც არაერთი წლის განმავლობაში დავამტკიცეთ, ანუ ძალგვიძს, ძალიან მოკლე დროში შევცვალოთ სოციალური მდგომარეობა და მოსახლეობას შევუქმნათ რეალური კეთილდღეობა. წარმოიდგინეთ, ათიათასობით მოქალაქე წავიდა ემიგრაციაში ოჯახის სარჩენად, რადგან აქ ვერ ნახა სამუშაო. ჩვენ ვაპირებთ სამშობლოში მათ დაბრუნებას, რათა მათთან ერთად გავაგრძელოთ ჩვენი რეგიონის აღმშენებლობა. მოსახლეობამ კარგად იცის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის ახდენდა ახალი იდეების გენერირებას. ამ ეტაპზე სრულიად ახალ მიდგომას შევთავაზებთ ხალხს და იმის მიუხედავად, რომ ათ წელიწადზე მეტია, რაც ოპოზიციაში ვართ, არაფერი შეცვლილა ჩვენში, პირიქით - კიდევ უფრო გამოვიბრძმედეთ, მეტი ვისწავლეთ როგორც საკუთარ შეცდომებზე, ისე სხვის მიერ შექმნილი პრობლემების დაძლევის პროცესში. ასე რომ, წარვუდგენთ საქართველოს, როგორი ქვეყნის ხილვა გვსურს და რისი გაკეთება შეგვიძლია საკუთარი მოსახლეობისთვის.

- აჭარაში რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად?

- ყველაზე დიდი პრობლემაა სიღარიბე, უმუშევრობა, ასტრონომიული ფასები, დაბალი ხელფასები და პენსიები, კატასტროფულად მზარდი ემიგრაცია, ბათუმის ქაოსური განაშენიანება, სადაც კორუფციის გამო ქვის ჯუნგლებად იქცა ულამაზესი ქალაქი. არაფერი განსაკუთრებული არ შეიქმნა ჩვენს არცერთ მუნიციპალიტეტში. ვგულისხმობ ისეთ ობიექტებს, სადაც ხალხი დასაქმდება. ათი წელია გვპირდებიან, რომ ხულო-გოდერძის უღელტეხილის 40-კილომეტრიანი გზა გაკეთდება. როგორც იქნა, მოაბეს თავი, თუმცა ბოლომდე ისიც არ დასრულებულა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ამ გზის 2014-2015 წლებში გაკეთება. შედეგად, უკვე არა რამდენიმე, არამედ სასტუმროების დიდი ქსელი გვექნებოდა გოდერძის უღელტეხილზე.

- შიდასასოფლო გზები მართლაც გაკეთდა...

- თქვენ გაკეთებულს რას ეძახით? ნებისმიერი მათ მიერ გაკეთებული გზა რომ გაზომოთ სახაზავით და შეადაროთ ტენდერის მოთხოვნებს, თუ რამდენი სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო ასფალტის სისქე, აღმოაჩენთ, რომ განახევრებული თუ არა, 30-40% მოპარულია. თან იქვე შეამჩნევთ, რომ ეს ახალმოასფალტებული გზა უკვე იშლება და იფშვნება. ჩვენც გვინდა, რომ გაკეთდეს გზები და მოეწყოს ინფრასტრუქტურა, მაგრამ - ხარისხიანად. ავიღოთ ხულო-ქედლების გზა, რომელიც ჩვენს დროს გაკეთდა და შევადაროთ ამათ მიერ 2-3 წლის წინ გაყვანილ გზას. ნახავთ, რამხელა განსხვავებაა ხარისხში და მიხვდებით, რასაც ვლაპარაკობ. ჩვენი - პროდასავლური პარტიების და, განსაკუთრებით, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ამოცანაა, ერთიანად დავიძრათ და ვიაროთ ევროპისკენ, რათა საქართველოს კეთილდღეობა გაიზარდოს.

> ***„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა და არც არსად წასულა, ეს მორიგი ტყუილი და ხალხის შეცდომაში შეყვანაა. ჩვენი პარტია 2012 წლამდე წარმატებით იბრძოდა ევროპული სახელმწიფოს და დამოუკიდებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბებისთვის. უკვე ვაჩვენეთ ხალხს, როგორი რეგიონის შექმნა შეიძლება აჭარაში***

„მოტივაცია, რაც მუდამ მამოძრავებდა, თვითგანვითარებისკენ სწრაფვაა“

მე-3 გვერდიდან

- მიუხედავად განსხვავებული პროფესიული ინტერესებისა, უამრავი რამ გვაერთიანებს. ამის წყალობით უკვე 20 წელია, ერთად მოვდივართ. ჩვენი ურთიერთობა, პრაქტიკულად, სიმბიოზია.

- სხვა არჩევანი აქვს თქვენს შვილს - ავთანდილს.

- ჩემი ვაჟის არჩევანში არასოდეს ჩავრეულვარ. ვთვლი, რომ პროფესიის არჩევა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა. ამდენად, მის არჩევანს პატივს ვცემ და წარმატებებს ვუსურვებ.

- ბედნიერი და შინაარსიანი ცხოვრებით მოდიხართ. ამ გზაზე ვინ გედგათ გვერდით?

- მადლიერი ვარ ჩემი პედაგოგების, ოჯახის წევრების, უფროსი კოლეგების - ადამიანების, რომელთა გარეშე რთულად წარმომიდგენია ჩემი აწმყოცა და მომავალიც.

- მადლიერებას რითი გამოხატავთ?

- ვფიქრობ, უფრო - საქმით, თუმცა მადლობის თქმაც არასდროს მავიწყდება.

- საიუბილეო დღეებში ვისი მოლოცვაა დასამახსოვრებელი?

- ოჯახის წევრების, მეგობრების, კოლეგების.

- აღიარება რომ მოიპოვო, რაა მთავარი?

- თავდაუზოგავი შრომა, საკუთარი წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზება და... ისევ შრომა.

- რას უსურვებთ სტუდენტებს?

- უყვარდეთ საქმე, რომელიც აირჩიეს.

- რაა მთავარი კრიტერიუმი, სტუდენტსა და ლექტორს შორის ნორმალური კომუნიკაცია რომ შედგეს?

- კეთილგანწყობა და საერთო მიზნისაკენ სწრაფვა.

- როდის ხართ დამშვიდებული?

- მაშინ, როდესაც ვიცი, როგორ მოვერიო სირთულეს და მაქვს საკითხის მკაფიო ხედვა. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი სირთულე მარტივად გადასალახი მეჩვენება.

- ყველაზე დიდი სარგებელი?

- ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც მისხალით მაინც დავეხმარე, ბედნიერი ადამიანები ჩემ ირგვლივ - აი, ეს არის სარგებელი, რასაც არაფერში გავცვლი.

- თუ გქონიათ ჩანაფიქრი, რომლის ასრულებაც დღემდე ვერ შეძელით?

- მიყვარს მოგზაურობა. ვფიქრობ, განვითარების ყველაზე პროდუქტიული გზა სწორედ სხვა კულტურებთან ზიარებაა. მრავალ ევროპულ ქვეყანაში ვიყავი, თუმცა აზიაში მოგზაურობა განუხორციელებელი მრჩება. ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინაა.

ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილენი ფურცელზე გადაიტანენ აქ ნანახსა და განცდილს

შუბნის სკოლის ეზოში შეკრებილები - სკოლის დირექტორი ტარიელ ფუტკარაძე, პედაგოგები, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მნიშვნელობასა და შემოქმედი ადამიანების ამ ღონისძიებაში ჩართულობაზე საუბრობდნენ, მის დამფუძნებელ ვახტანგ ბერიძეს 12-წლიან მუშაობას უქებდნენ. ალბათ სჯა-ბაასი კიდევ გაგრძელდებოდა, რომ არა მთისთვის დამახასიათებელი კოკისპირული წვიმა

შუბნის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დარბაზის გახსნა წლევანდელ საფესტივალო დღეებს დაამთხვიეს. ღონისძიების მონაწილენი აქ მოსვლამდე ხულოს რაიონის სოფელ ჩაოს სკოლაში იმყოფებოდნენ, სადაც საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა გაიმართა. მწერალმა დათო ტურაშვილმა მთელი დღით ჩაოში დარჩენა, მოსწავლეებსა და პედაგოგებთან საუბარი ისურვა.

შუბნის საჯარო სკოლაში შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს ვახტანგ ბერიძეს, ფრიდონ ფუტკარაძეს, ომარ ტაკიძეს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძეს, რომლებმაც ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

- წლებია, ფესტივალის ორგანიზებასა და მუშაობაში მიწევს ჩართვა. თვალნათლივ ჩანს ამ ფესტივალის დიდი როლი. უცხოეთიდან, ქვეყნის დედაქალაქიდან, სხვა რეგიონებიდან მოწვეული მწერლები, პოეტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები ჩვენს წარსულსა და დღევანდელობას ეცნობიან, ამ კუთხეს წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებაში, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

ესუარები გამოიფინა, რომელთა უმრავლესობა სტუმრებმა შეიძინეს.

მწერლებს დათო ტურაშვილსა და გიორგი კეკელიძეს აჭარის მთიანეთის მკითხველთა წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ. ისინი ამ რეგიონს ფესტივალის ფარგლებში რამდენჯერმე სტუმრობდნენ. შარშან გიორგი კეკელიძეს ყაბალახიც მოარგეს. ამჯერად მწერლები დამსწრეთა წინაშე ახალი წიგნებით წარსდგნენ. დათო ტურაშვილმა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი წიგნი „ტყეების მეფე“, ხოლო გიორგი კეკელიძემ ლექსების კრებული „ახალი სიმღერა“ მიმოიხილეს. გიორგიმ რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

პოეტისა და ლიტერატურათმცოდნე გიორგი ხორბალაძისა და ეროვნებით ბერძენ პოეტ დიანა ანფიმიადის გამოსვლებს ყველა ინტერესით შეხვდა. საინტერესო იყო თამარ გელუტაშვილის ლექცია რუსთაველის შესახებ.

ხულოს საზოგადოება, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები ყოველთვის აქტიურად ერთვებიან ფესტივალის მუშაობაში. საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და მერის მოადგილე ნადიმ ვასაძემ არც ამჯერად დატოვეს ფესტივალის მონაწილენი უყურადღებოდ, ხულოს კულტურის ცენტრის დირექტორ ჯუმბერ აბაშიძეს კი ვახტანგ ბერიძემ მადლობის ბარათი გადასცა ფესტივალის მხარდაჭერისთვის.

ტრადიციისამებრ, ფესტივალის დასკვნითი ნაწილი ყაბალახის მფლობელთა გამოვლენას ეთმობა. ამჯერად ეს პატივი წილად ხვდათ პოეტებს ზურაბ ფირცხალაიშვილსა და დიანა ანფიმიადის. მათ ყაბალახები გიორგი კეკელიძემ და გვანცა ჯობავამ მოარგეს.

- ფესტივალზე პირველად ვარ, - გვითხრა ზურაბ ფირცხალაიშვილმა, - ერთობ საინტერესო და შინაარსიანი დღეები გვქონდა. მე - უხუცესი, ხოლო 1 წლისა და 4 თვის დემეტრე ბერიძე ყველაზე ახალგაზრდა მონაწილენი ვიყავით. გავიცანი თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის ოსტატები და დიდი შთაბეჭდილებებით ვემშვიდობები აქაურობის. მადლობა ორგანიზატორსა და ყველა მონაწილეს.

დრამატული თეატრის სცენიდან ფესტივალის მონაწილეები ცეკვებითა და სიმღერებით გაახალისეს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხულო“, ღორჯომის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ღორჯომი“, ხულოს სახელოვნებო სკოლის ანსამბლმა „ციცინათელა“ და ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიური გუნდის წევრებმა (სამხატვრო ხელმძღვანელი - ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დირიჟორი - გელა ვადაჭკორია).

სასტუმრო „შატო-ჩაოს“ ვერანდაზე ფესტივალის საზეიმოდ დახურვის ნიშნად ორგანიზატორმა ტორტი გაჭრა.

- ვტოვებთ აჭარის მთიანეთს, ვემშვიდობებით ფესტივალის მონაწილეებსა და მასპინძლებს. მიმყვება დიდი შთაბეჭდილებები. ყველაფერი საინტერესო და მიმზიდველი იყო. აქ მომსვლელი შემოქმედი უეჭველად ფურცელზე გადაიტანს აქ განცდილსა და ნანახს, მადლობა გულთბილი მასპინძლობისა და სიყვარულისთვის, - გვითხრა პოეტმა ია ხასაიამ.

> ***ტრადიციისამებრ, ფესტივალის დასკვნითი ნაწილი ყაბალახის მფლობელთა გამოვლენას ეთმობა. ამჯერად ეს პატივი წილად ხვდათ პოეტებს ზურაბ ფირცხალაიშვილსა და დიანა ანფიმიადის. მათ ყაბალახები გიორგი კეკელიძემ და გვანცა ჯობავამ მოარგეს***

ფესტივალის მეორე დღის მთავარი ღონისძიება ვახტანგ ბერიძემ გახსნა. ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილებს მიესალმნენ ომარ ტაკიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, შუბნის საჯარო სკოლის დირექტორი ტარიელ ფუტკარაძე.

საბავშვო წიგნების მნიშვნელობაზე ისაუბრეს გამომცემლობა „ინტელექტის“ მენეჯერმა გვანცა ჯობავამ და მწერალმა სოფო კუბლაშვილმა, რომელმაც მიმოიხილა საკუთარი წიგნი „მარცვალას ოინები“. „კულტურული მრავალფეროვნების ფსიქოლოგია“, - ასეთი იყო ლალი ბადრიძის საჯარო ლექციის თემა, რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„პოეტური ხმები“, ლელა ცუცქირიძის მოდერატორობით, პოეტებს - გიორგი ბალახაშვილს, გურამ ჯახუტაშვილსა და დათო ლომიას ლექსებს დაეთმო. პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ქვრივი იამზე ვაშაკიძე ფესტივალის მონაწილეთა წინაშე საჯარო ლექციით „რაფიელ ერისთავი ქართული ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ“ წარსდგა.

საინტერესო და მწვავე დისკუსია მოჰყვა, ვახტანგ ბერიძის მოდერატორობით, გიორგი ღვინჯილიას წიგნის „1905 წლის რევოლუცია ბათუმში და ქართველი მუსლიმები“ წარდგინებას.

დღის ბოლოს ფესტივალის მონაწილეებმა საფუტკრეთში პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს.

- მოხარული ვარ, რომ ისევ მოვედით აქ. ერთი წლის განმავლობაში მრავალი ექსპონატი შემატებია ცნობილი მეცნიერის, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის მუზეუმს. მჯერა, აქაურობა მარეთის ხეობაში საინტერესო ტურისტულ ლოკაციად იქცევა, - გვითხრა გვანცა ჯობავამ.

„ზე-კართან“ დასკვნით დღეს ხულომ უმასპინძლა. იუსუფ ზოიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ფოიეში ადგილობრივი მეწარმე ქალების ნაილე აბულაძისა და მზიური მელაძის მიერ მოქსოვილ-მოქარგული წინდები და სხვა აქსესუარები ადგილობრივ ტურისტებს ეყიდებოდა. ეს ადგილობრივი ბიზნესი ფესტივალის ფარგლებში ეხმარებოდა ადგილობრივ ქალებს, ეს ბიზნესი ეხმარებოდა ადგილობრივ ტურიზმს, ეს ბიზნესი ეხმარებოდა ადგილობრივ ეკონომიკას.

„ნამეფვარობა“ - ქედაში

2012 წლის 19 მაისს ქედაში, სოფელ ახოს მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველად იზეიმეს სახალხო დღესასწაული „ნამეფვარობა“. მას საფუძვლად დაედო თამარ მეფესთან დაკავშირებული ხალხური თქმულება, რომლის თანახმადაც ლაშქრობიდან მობრუნებული გამარჯვებული თამარ მეფე მთა პერანგაზე დაბანაკებულა. თქმულების თანახმად, ამ ადგილს „ნამეფვარსაც“ უწოდებენ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“, ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

დღესასწაულს ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორები იყვნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ქედის კულტურის ცენტრი.

ღონისძიება ქედის კულტურის ცენტრის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„ვფიქრობ, „სოფლის აღმაშენებელი“, გარკვეულწილად, აჭარის ისტორიაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

იყო ცნობილი მწერლის, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატ ემენ დავითაძის შვილი, საპატიოცაა და საპასუხისმგებლოც. ***თამილა დავითაძე,*** *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მამისა და საკუთარი საქმიანობის შესახებ გვესაუბრება.*

- ქალბატონო თამილა, მამები ქალიშვილებს გამორჩეულად ეფერებიან. რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებთ მამასთან ურთიერთობიდან?

- მამა ჩემთვის განსაკუთრებული ადამიანი იყო და არის. მისი დიდი რიდი, პატივისცემა და სიყვარული მაქვს. ის ჩემთვის ავტორიტეტია - ნიჭიერი მწერალი, პოეტი, უაღრესად მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანია. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის დიდი მეგობრები ვიყავით და ვართ. მას აქვს სიყვარულის, მისი გამოხატვის საოცარი ნიჭი და უნარი. მასთან ნებისმიერ თემასა და საკითხზე შეიძლება საუბარი. დღემდე მაძლევს მამაშვილურ, კოლეგიალურ და პროფესიულ რჩევებს, რასაც ვითვალისწინებ და სასურველ შედეგსაც ვაღწევ. ვინც გვიცნობს, ყველამ იცის ჩვენი ძალიან სათუთი ურთიერთობების შესახებ. მასთან გატარებული ყოველი წუთი შინაარსით და სიყვარულით სავსეა, მაგრამ გამოვყოფ რამდენიმე ეტაპს. გავიხსენებ სკოლის პერიოდს, როდესაც გაკვეთილებს შორის შესვენებაზე შემომივლიდა მოულოდნელად, გულში ჩამიკრავდა, ტკბილეულითა და გემრიელობებით ამივსებდა ხელს და მეტყოდა: მომენატრე, ჩემო კუდრაჭა. საღამოობით ფანდურს ჩამოჰკრავდა და ხალხურ სიმღერებს გვამღერებდა მე და ჩემს ძმას. ტკბილი ხმა აქვს, სულ ჩამესმის ფანდურის ჰანგები და მისი ხმა. ხშირად ექსკურსიებსაც გვიწყობდა. მოგვატარა საქართველოს მნიშვნელოვანი ძეგლები, ტაო-კლარჯეთიც. სკოლის დროს ყველა ოლიმპიადაზე, ტურებსა და შემოქმედებით კონფერენციებზე თავად მივყავდი, მელოდებოდა და წარმატებასაც ჩემთან ერთად იზიარებდა. შეიძლება ითქვას, მის გარეშე არცერთი მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, ის ყველაზე დიდი მრჩეველი და მეგობარია ცხოვრების ყველა ეტაპზე.

- ამბობენ, რომ როცა მამა „სოფლის აღმაშენებელს“ წერდა, წაკითხვისა და შეფასების ნებას გრთავდათ. ამ ნაწარმოებმა დიდი აღიარება მოიპოვა. იმ შეგონებებს, დარიგებებს ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში როგორ იყენებთ, რომლებიც მამამ ამ და სხვა ნაწარმოებებში გაახმოვანა?

- შემიძლია გითხრათ, რომ სწორედ ამ შეგონებებით გვზრდიდა შვილებს. ხშირად გვიყვებოდა სიბრძნითა და სიკეთით სავსე წინაპრებზე. ყველა კეთილი რჩევა მახსოვს და ვითვალისწინებ. რაც შეეხება „სოფლის აღმაშენებლის“ წერის პერიოდს, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ყველაფერი ნათლად მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ პატარა გახლდით. დედა ხელნაწერს კარნახობდა, მამა საბეჭდ მანქანასთან იჯდა და ტექსტს აწყობდა, მე სიამოვნებით ვუსმენდი. დღესაც მახსოვს, სახელმწიფო პრემიის მიღებას როგორი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდა, რომელიც სწორედ „სოფლის აღმაშენებელმა“ მოუტანა. მთელი ჩემი ბავშვობა ნაწარმოების წერის პროცესს, შემდეგ მისი წიგნად გამოცემის ტკბილ მოგონებას უკავშირდება. წაკითხულ ტექსტსაც კი ხელახლა ვისმენდი და ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა მორიგი წიგნი. უკვე მოზრდილ ასაკში მე და მამა ამ წიგნთან დაკავშირებით ახალ გეგმებზე ერთად ვსაუბრობდით. ვფიქრობ, „სოფლის აღმაშენებელი“, გარკვეულწილად, აჭარის ისტორიაა.

> ***„მთელი ჩემი ბავშვობა ნაწარმოების წერის პროცესს, შემდეგ მისი წიგნად გამოცემის ტკბილ მოგონებას უკავშირდება. წაკითხულ ტექსტსაც კი ხელახლა ვისმენდი და ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა მორიგი წიგნი. უკვე მოზრდილ ასაკში მე და მამა ამ წიგნთან დაკავშირებით ახალ გეგმებზე ერთად ვსაუბრობდით***

- შვილები, გამორჩეულად - ქალიშვილები, მამებზე მემუარებს წერენ ხოლმე...

- ჯერ კიდევ მამის ნიჭით და მასთან ურთიერთობით ვტკბები, თავის დროზე, ალბათ, მემუარებზეც ვიფიქრებ.

- 21-ე საუკუნის დასაწყისში საუკუნოვანი გაზეთ „აჭარის“ დახურვის მცდელობა იყო, რაზეც ბატონმა ემენმა პირველმა აღიმაღლა ხმა. რამდენად ფასობს დავითაძეების ოჯახში ეს გაზეთი?

- შეუძლებელია, ჩვენ ეს გაზეთი ოდესმე მივივიწყოთ. მამის პირველი სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი ამ გაზეთის წარმომავლობას უკავშირდება, მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები სწორედ აქ გაუქდა. მამა დღესაც ამ გაზეთის აქტიური მკითხველი და გულშემატკივარია. ზოგადად, პრესა, ეს გაზეთი, არასდროს დაკარგავს აქტუალობას.

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები საუკეთესო პიროვნებად გახასიათებენ.

- პროფესიას სიყვარულით ვემსახურები, მიყვარს სტუდენტი, კოლეგა, თანამშრომელი, მათგან მოდის ისეთი სითბო და კეთილგანწყობა, რომ სხვანაირად შეუძლებელია. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი ყოველთვის იყო და არის მაღალი ინტელექტის, კულტურის სავანე, აქ განსაკუთრებული გარემოა, კეთილშობილი ადამიანებით სავსე. ამდენად, აქ სიყვარული გადამდებია. რაც შეეხება სტუდენტებს, მათ ბოლომდე ვუზიარებ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რასაც პროფესიული თვალსაზრისით ვიძენ, ვემსახურები თაობებს და ვასწავლი ლიტერატურის სიყვარულს, რადგან დღეს, ინფორმაციით და ტექნოლოგიებით დატვირთულ სამყაროში, მეტ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს სულიერება, რომლის სამხილი ოდითგანვე იყო წიგნი, როგორც საზრდო „სულიერი შიმშილის“ მოშთობისა... საქმიანი ურთიერთობები, დისკუსიები, სასარგებლო რჩევები და გულისხმიერი საუბრები მოსწონთ სტუდენტებს. მათ არაფერი გამოეპარებათ, ხედავენ საქმისადმი, პროფესიისადმი პედაგოგის დამოკიდებულებას, სიყვარულს, თუმცა, ურთიერთობისას, მთავარი ადამიანური ღირებულებებია, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვებათ.

- კარგი წამოწყების ინიციატორი ხართ - ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს გაზეთ „აჭარის“ ფურცლებიდან დაბადებიდან მრგვალ თარიღს ახსენებთ და ულოცავთ...

- ვფიქრობ, ყურადღება, დამსახურების და განვლილი ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ყველას უნდა ახარებდეს.

- წლებია, იმ ადამიანებთან ერთად საქმიანობთ, რომლებიც ლექციებს გიკითხავდნენ. ვის გამოარჩევთ?

- ნამდვილად ვერავის გამოვარჩევ, ყველას სათანადო დამსახურება აქვს ჩემი, როგორც სპეციალისტის ჩამოყალიბებაში. არავინ იშურებდა კეთილ რჩევებსა და დარიგებებს მეცნიერების რთულ გზაზე, თუმცა მაინც გამოვყოფ ლიტერატორთა როლს, რომლებმაც დიდი გამოცდილება შემძინეს.

- დედა - რამდენად გრჩებათ დრო მის მოსაფერებლად?

- ისე ვერ დავიძინებ, თუ არ გავიგე, როგორ ჩაიარა დღემ და რაიმე ხომ არ აწუხებს. ჩემთვის დედა უბერებელია და ყოველთვის ლამაზი, უბრალოდ, წლებმა და დიდ ოჯახზე ზრუნვამ შეუვერცხლა თმები. ყველაზე კეთილი და სათნო დედა მყავს. ვინც იცნობს, დამეთანხმება. მამის შეუცვლელი მუზაა. მინდა, დიდხანს მყავდეს და იხაროს თაობებით.

- დედაშვილობის ცნება - თამილა დავითაძისთვის?

- უპირობო სიყვარული დედა-შვილს შორის, მის გვერდით და მასთან ახლოს ყოფნა, ყველა სიხარულისა თუ ტკივილის გაზიარება, ზომიერი სიმკაცრე და უსაზღვრო სითბო. ყველა მოძღვრავს თავის შვილს და, მათ შორის, მეც. ვუნერგავ ქვეყნის, ადამიანების, სიკეთის სიყვარულს, თავისუფლებისა და განათლების ფასს.

- მამისეული კერა აჭარა-შავშეთის ქედზე განფენილი სოფელი გოგაძეებია. იქ გატარებული ბავშვობის წლებიდან ყველაზე მეტად რა გახსოვთ?

- მამის ინტერვიუ, რომელმაც დიქტოფონზე ჩაიწერა ჩემი თავგადასავლები და შთაბეჭდილება ამ სოფელზე. და კიდევ, მოხუცების ნაამბობი, საინტერესო ისტორიები, ტრადიციული დღესასწაულები და ჩემი საოცრად კეთილი ბებია, რომელიც წარუშლელად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. ასე მგონია, მისი სული ყველა განსაცდელს მაშორებს და მიცავს, ასევე, ავტორიტეტული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ბაბუა.

- ქართული სოფელი ადრინდელ სახესა და სახელს კარგავს. რაა საჭირო იმ სოფლის შესანარჩუნებლად, რომელიც „სოფლის აღმაშენებლის“ ავტორმა წარმოაჩინა?

- ახალგაზრდებმა უნდა გაიცნობიერონ საკუთარი ფესვები, სოფლის როლი. ამასთან, აუცილებელია მათი ხელშეწყობა, უკეთესი პირობების შექმნა, სხვაგვარად შეუძლებელია, სოფელმა დაიბრუნოს ძველი სახე და ხალისი.

ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირს ისევ მანანა შარაშიძე უხელმძღვანელებს

მანანა ჟიჟიშვილი 598 24 94 97

გაიმართა საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის მე-11 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია

ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში ამავე ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მანანა შარაშიძემ წარადგინა, სარევიზიო კომისიის ანგარიში - კომისიის თავმჯდომარე ლუარა მგელაძემ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება. მასში აღნიშნულია, რომ პროფესიული კავშირი გარკვეულ მუშაობას წარმართავდა დარგის მუშაკთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის, რომელიც ხორციელდებოდა დამსაქმებელთან თანამშრომლობის გაღრმავებით, სოციალური დიალოგითა და კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ორგანიზაციის ფინანსურ განმტკიცებას, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

მიუხედავად ამისა, კონფერენციამ საჭიროდ ჩათვალა, რომ აღენიშნა: პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს და პირველად ორგანიზაციებს მეტი მუშაობა მართებთ პროფკავშირში ახალგაზრდობის მოტივაციის გაზრდის და, საერთოდ, პროფკავშირის წევრობის მოტივაციის საკითხებზე, მშრომელთა პროფესიული უფლებების დაცვის გარანტიებზე.

დარგის პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დადებითად შეფასდა.

კონფერენციამ საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარედ კვლავ მანანა შარაშიძე აირჩია, რომელსაც იგი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ცხოვრობდე სამშობლოში და გენატრებოდეს სამშობლო...

31 წელი სოხუმის დაცემიდან

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

სოხუმის დაცემიდან 31 წელი გავიდა. 1992-1993 წლებში აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა რუსეთის რეგულარული ჯარის დახმარებით აფხაზეთის 300 ათასზე მეტი ადგილობრივი მკვიდრი განდევნა მშობლიური მხარიდან, ათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლე კი წამებით გამოასალმა სიცოცხლეს. ომის ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა

ომში საქართველოს მხრიდან ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით, 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. აფხაზეთი არასდროს მინახავს, მაგრამ მასზე ვფიქრობ და ვოცნებობ. საკუთარ თავსაც ხშირად ვუმეორებ, რომ ოცნების რეალობად ქცევა რთულია, მაგრამ არა - შეუძლებელი.

რა ხდებოდა აფხაზეთში, ყველაზე უკეთ იციან აფხაზეთიდან დევნილებმა. მათ გასაცნობად ბათუმში, თამარის დასახლებას ვეწვიე. ისინი თავიდან წყალტუბოს სანატორიუმში ურთულეს პირობებში ცხოვრობდნენ, დღეს კი ბათუმში აგრძელებენ ცხოვრებას მალე აფხაზეთში წასვლის იმედით. ბათუმი და ზღვა მათ საკუთარ მიწა-წყალს ახსენებთ, თუმცა, როგორც მითხრეს, აფხაზეთის სილამაზეს თუ ვნახავთ, იქიდან წამოსვლა აღარ მოგვინდება. ამ კარგი ადამიანების ნახვა რთული სულაც არ აღმოჩნდა. ისინი ხშირად დევნილთა დასახლების ეკლესიასთან (რომელსაც საკუთარი სახსრებით აშენებენ), ვეტერანთა სკვერში იკრიბებიან და იხსენებენ მშობლიურ მხარეს. მეც სიხარულით მიმიღეს და აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა თაობის ამ საკითხით დაინტერესება ძალიან მნიშვნელოვანია.

გაგაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ აფხაზეთის ომში და იცავდნენ საქართველოს.



აბესალომ კოპალიანი ოჩამჩირის რაიონში 24-ე შტაბის უფროსი იყო და საკუთარ თავზე გამოსცადა ომის ქარტეხილი. აი, რა გვიამბო მან:

- ომი აფხაზეთში დაიწყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რაც რუსეთიდან იყო ინსპირირებული. კრემლს სურდა, დაეყო ჩვენი მოსახლეობა და მოხდა გადატრიალება. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაამხეს, მაშინ ქართველები ერთიანი არ ვიყავით და რუსეთმა ეს მომენტი სათავისოდ გამოიყენა. რუსეთს შეეძლო, ნებისმიერ დროს დაეწყო ომი, მაგრამ ჩვენს დაპირისპირებას ელოდა. სერგეი ბაღაფშს აქვს ნათქვამი: რუსეთი, საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ იმაზე, რომ შევარდნაძე ჯარს შეიყვანდა აფხაზეთში და მაგისტრალებს გააკონტროლებდა, სხვა არაფერი. ერთი სიტყვით, რუსეთმა და საქართველომ მოილაპარაკეს. ამის შემდეგ ჯარი შემოიყვანეს რუსებმა, დაიწყო ომი და აფხაზები რუსებს დაუდგნენ გვერდით. რაც შეეხება სისასტიკეს, ჩვენც აგვყავდა ტყვედ ჯარისკაცები, მაგრამ წამება თავიდან ჩვენი მხრიდან არ ყოფილა, მერე კი იყო რაღაც შემთხვევები, მაგრამ წამების ფაქტები პირველად დაიწყეს კაზაკებმა და რუსებმა. რუსები ე.წ. კოლუმბიური ჰალსტუხის მეთოდით მოქმედებდნენ. ჩვენი მხრიდანაც იყო ტყვეების ცემის, ყურის მოჭრის ფაქტებიც, იყო მაროდიორობაც, თუმცა გაუპატიურება ნამდვილად არ ყოფილა. დღეს იქ ნაბრძოლი ხალხი ვნანობთ და ღიად ვამბობთ, რომ მაროდიორობა არ უნდა დაგვეშვა. რუსებმა და აფხაზებმა როგორც კი იგრძნეს, რომ ძალაუფლება მათ ხელში იყო, ოჩამჩირის რაიონში, და არა მარტო, დაიწყეს 10 წლიდან დაწყებული ბავშვების და ქალების, 80 წელს გადაცილებულებისაც კი, გაუპატიურება და ასევე, მასობრივი მკვლელობები. სამხედრო ტყვეებს ისე აწამებდნენ, რომ მათი ცნობა წარმოუდგენელი იყო. ოჩამჩირესთან სამხედრო პოსტები იყო განლაგებული, სადაც 4 სამხედრო მოკლეს, დაწვეს, პოსტებიდან მიცვალებულები ვერ გამოგვყავდა, რადგან ხელს რომ ვკიდებდით, სხეულის ნაწილები ხელში გვრჩებოდა. სამი ძმა ერთად ჩაცხრილეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ. რუსეთმა იმდენი გააკეთა, რომ აფხაზებს ჩვენთან ყოფნა აღარ უნდოდათ. ჩვენ აფხაზებთან მართლა ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და მათგან ის, რაც გააკეთეს, გასაკვირი იყო. მათ ყველაფერში ვეხმარებოდით, როცა შიოდათ, ვაპურებდით, როცა სწყუროდათ, ვასმევდით, ტანსაცმელსაც ვაძლევდით, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ რუსებმა წააქეზეს და ამან შედეგი გამოიღო. სიმართლე გითხრათ, აფხაზებს კომპლექსი ჰქონდათ, ეგონათ, რომ აფხაზეთში ქართველები უფრო წინა პლანზე იყვნენ წარმოჩენილები და მსგავსი მაგალითების გამოც მოხდა ის, რომ რუსეთმა ჩვენ შორის შუღლი ჩამოაგდო.

საუბარში ბატონი **ნუგზარ ნოდარიშვილიც** შემოგვიერთდა, რომელსაც რუსებმა და აფხაზებმა დედ-მამა დაუხოცეს.

- რუსები და სეპარატისტი აფხაზები სახლებში უვარდებოდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ზოგს ადგილზე ტოვებდნენ, ზოგსაც კი ზღვაში ყრიდნენ. ჩემი ახლობლები ავთო, ნოდარ და გივი მაისურაძეები დახოცეს და ზღვასთან პლაჟზე დაყარეს. მამაჩემი, რომელიც სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი იყო, დედასთან ერთად მოკლეს. არავის ინდობდნენ, თუ გაიგებდნენ, რომ ქართველი იყო.

განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა საუბარი ბატონ **ჯემალ ბაძაღუასთან**, რომელმაც აფხაზეთის ომში შვილი დაკარგა.

იხ. მე-9 გვ.

თავის მოვლა

როგორ მოვუაროთ სახის კანს შემოდგომაზე?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

სახის კანის მოვლა ყველა სეზონზე აუცილებელია, განსაკუთრებით კი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. შემოდგომა გარდამავალი სეზონია, ამიტომ კანის მოვლის რუტინაში ცვლილებებია საჭირო. რა უნდა ვიცოდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი სახის კანი დაცული იყოს? ამის შესახებ კოსმეტოლოგი ნინო ხაინდრავა გვესაუბრება

- გვითხარით სამი ძირითადი პრინციპი, რომელიც შემოდგომაზე კანის მოვლაში დაგვეხმარება.

- ჰაერის ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად, შემოდგომაზე კანის მოვლის პროცედურები, რა თქმა უნდა, იცვლება. პრინციპებს რაც შეეხება, პირველ რიგში, ეს არის სახის რბილი დაბანა, რადგან ჩვენ ზაფხულში მომატებული ცხიმიანობის გამო ვიყენებთ უფრო ხისტ დასაბან საშუალებებს, რომლებიც ზოგჯერ, სპირტთან ერთად, ცხიმის საწინააღმდეგო საშუალებებსაც შეიცავს. შემოდგომაზე კი ეს ყველაფერი იცვლება და გადავდივართ ე.წ. რბილ დასაბან საშუალებებზე. ასევე, სეზონიდან გამომდინარე, კანს სჭირდება კვება და დატენიანება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ისეთი საცხები, რომლებშიც იქნება მეტი სასარგებლო ვიტამინები ან მინერალები. იცვლება საცხების სტრუქტურაც. საცხი აღარ უნდა იყოს გელისებური სტრუქტურის, რომელსაც ზაფხულში ვიყენებდით, შემოდგომაზე უმეტესად მყარი სტრუქტურის საცხები უნდა შევარჩიოთ.

- ზაფხული დასრულდა, გარუჯულ კანს, როგორც ვიცით, სხვაგვარი მოვლა სჭირდება...

- ვინც ზაფხულში ეფიცხებოდა მზეს და რუჯის მოყვარულია, მის კანს სხვაგვარი მოვლა სჭირდება. კარგად რომ გამოჩნდეს, თუ რა დაგვიტოვა რუჯმა, საჭიროა 14-დან 21 დღემდე პერიოდი გავიდეს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ვნახავთ, თუ რა სჭირდება ჩვენს სახის კანს. ძალიან ხშირად, რუჯის შემდეგ გვრჩება პიგმენტური ლაქები. შესაბამისად, სახის კანის მოვლის რუტინაში უნდა ჩავრთოთ ე.წ. AHA მჟავები (ალფა ჰიდრომჟავები). მზის სხივების შედეგად გაჩენილი პიგმენტური ლაქების საწინააღმდეგოდ ყველაზე ეფექტურია C ვიტამინის შემცველი შრატების გამოყენება.

- სახლში დამზადებულ სკრაბებზე რას გვეტყვით? თუ შეიძლება შემოდგომაზე მათი გამოყენება?

- რა თქმა უნდა. ჩვენ შეგვიძლია აქტიურად დავიწყოთ სახლის პირობებში მომზადებული სახის სკრაბების გამოყენება, თუმცა შემდეგ აუცილებლია სახის დატენიანება. პილინგი კანს აშრობს, ამიტომ პროცედურის ჩატარებისას სასურველია, დატენიანებისთვის გამოვიყენოთ ქსოვილის ნიღბები.

„შავლეგო“ და „კესანე“ – შუახევში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ვიდრე საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან არსებული ანსამბლები „შავლეგო“ და „კესანე“ სცენაზე დადგებოდნენ, ჩვენ პირველი მათგანის ხელმძღვანელ ჯემალ აღამაშვილს ვესაუბრეთ

- უკვე 82 წელი მოვიტოვე უკან. ჩვენი ანსამბლის წევრები, მეტწილად, ასაკოვანი ადამიანები არიან. მხოლოდ ნიკა ალავიძეა ჭაბუკობის ასაკში. ანსამბლის დაარსების დღიდან მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ვიყავით, მაგრამ საქართველოს სადარი ვერსად ვნახეთ. აჭარაში გოდერძის უღელტეხილით გადმოვედით. შეცვლილი დაგვხვდა აჭარის მთიანეთი. თვალს არ ვუჯერებდით, როცა ის აღმშენებლობა ვნახეთ, რაც სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე მიმდინარეობს. ეს ტერიტორია მალე მსოფლიოს ყურადღების არეალში მოექცევა. აჭარის მთიანეთში 12 წლის წინათ ვიყავით. ამჯერად, კონცერტების გამართვას შუახევიდან ვიწყებთ. ვეწვევით ქედასა და ხულოს, - გვითხრა ბატონმა ჯემალმა.

თითქმის ერთ საათს გასტანა კონცერტმა, რომელიც „შავლეგომ“ და „კესანემ“ შუახეველ მაყურებელს შესთავაზეს. დასკვნითი სიმღერის დროს სცენაზე მათთან მაყურებლებიც ავიდნენ.

- შუახეველები ასეთი პოპულარული ანსამბლების სტუმრობას და კონცერტების გამართვას მუდამ მივესალმებით, - გვითხრა შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძემ, - მათ რეპერტუარში ვიხილეთ ის ხალხური სიმღერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვისაა დამახასიათებელი. სცენაზე გააცოცხლეს წინა საუკუნეში არსებული ფოლკლორი, რასაც სხვა ანსამბლების რეპერტუარში იშვიათად ნახავთ.

- კონცერტი და მაყურებელი მთავარია, მაგრამ უმთავრესია ის სასიკეთო ტრადიცია, რომელსაც ამ რეგიონის მოსახლეობა არ ივიწყებს. გზად ტრანსპორტი გაგვიფუჭდა. უმალვე ჯემალ ადამაშვილის მეგობარმა შალვა ველიაძემ ძმისშვილის ტრანსპორტი მოგვაშველა. შუახევში სასტუმრო არ გვიძებნია. წაბლანელმა შალვა და ზვიად ველიაძეებმა სოფელში მიგვიპატიჟეს და მთის სოფლის ხედებით, ტრადიციული ადგილობრივი კულინარიით გაგვაოცეს, - გვითხრა ანსამბლ „კესანეს“ სოლისტმა მარინა გიორგაძემ.

ცხადდება ესეების კონკურსი

ციტნე ცაბაძე 27 48 93

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და ქალთა ოთახი „ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღესთან“ (11 ოქტომბერი) დაკავშირებით, აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე: „გოგონები გუშინ, დღეს და ხვალ“

კონკურსის მიზანია საზოგადების ცნობიერების ამაღლება, თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და სხვა გენდერული დისკრიმინაციის რისკების პრევენცია და განათლების აუცილებლობის ხაზგასმა. ასევე, ეს იქნება ერთგვარი კავშირი იმ ღონისძიებებისა, რომელსაც ქალთა ოთახი და გენდერული თანასწორობის საბჭო, პროგრამის ფარგლებში, წლების განმავლობაში ახორციელებს.

კონკურსის პირობებია: ესეს ავტორი უნდა იყოს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის VIII-XII კლასის მოსწავლე. ესესთან ერთად, კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს თემასთან დაკავშირებული ნახატი ან ფოტომასალა.

ესე არ უნდა აღემატებოდეს 1000 სიტყვას ბეჭდური სახით. პლაგიატის შემთხვევაში (მაგალითად, ინტერნეტსივრცეში არსებული ან აქამდე შექმნილი ესე, ნახატი ან ფოტომასალა) ნაშრომი არ განიხილება.

საკონკურსო მასალის მოწოდების პირობები: კონკურსანტმა ნამუშევარი უნდა გადმოგზავნოს ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ფეისბუქგვერდის ჩატში (https://www.facebook.com/profile.php?id=100075460705951) ან ელექტრონულ ფოსტაზე - kedawomensroom@gmail.com. ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, კლასი, სკოლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება: ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო წარმოდგენილი ნამუშევრებიდან შეარჩევს 3 საუკეთესო ნაშრომს, ეს შესაძლებელია იყოს ესე, ნახატი ან ფოტომასალა, რომელთაგან გამოვლინდება თითო-თითო I, II და III ადგილებზე გასული კონკურსის მონაწილე.

საპრიზო ადგილებზე გასული ავტორები დაჯილდოვდებიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახის მიერ დაწესებული პრიზებით, ხოლო ტრენინგის მონაწილეებს საჩუქრად გადაეცემათ თემასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები.

ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო დღეა 2024 წლის 9 ოქტომბერი. დაჯილდოება 11 ოქტომბერს გაიმართება.

ბათუმის თოჯინების მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი და დაუვიწყარი სანახაობა

პირველი გვერდიდან

- პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს და ბატონ ირაკლის, რომ მოგვიწვია საქართველოში და მოგვცა შესაძლებლობა, ეს ღამაზი ქვეყანა დაგვეთვალიერებინა. მასტერკლასი ეხებოდა იმ ახალ ტექნოლოგიებს, რომლებსაც თოჯინების დასამზადებლად ვიყენებ. ესენია სამგანზომილებიანი პროგრამირება და პრინტერები. კომპიუტერულ პროგრამებში აწყობის შემდეგ დამზადების პროცესზე გადავდივარ. ამ მასტერკლასის მიზანია, ადამიანებმა გაიგონ, როგორ კეთდება თოჯინები, რომლებიც სცენაზე ცოცხლდებიან, - გვითხრა რაიმონ რუიზმა.

მაყურებელმა რეჟისორ ქრის მიგელის (თოჯინების მუსიკალური თეატრი, ბრაზილია) საკონკურსო სპექტაკლი „ჩვენ შეგვიძლია ფრთების გარეშე ფრენა“ იხილა. სცენაზე ჟღერდა ცოცხალი მუსიკა აკორდეონის, ბენდირის და ბრაზილიური პანდეიროს თანხლებით. მსახიობმა სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული სიმღერები შეასრულა.

მორიგი საკონკურსო სპექტაკლი ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის „ცისფერი კოცონი“ გახლდათ, რომლის რეჟისორი ეკატერინე სირაძეა.

- ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ჩემთვის დიდი ემოცია, სიხარული, ახალი ურთიერთობები, ახალი ტექნოლოგიები, ძველის ახლებულად დანახვა, მსახიობების, რეჟისორების და მეთოჯინეების აღმოჩენაა. შარშან ჩვენმა თეატრმა გრან პრი აიღო, წელს გრან პრის დაბრუნება ორმაგი პასუხისმგებლობაა. თან წამოვიღეთ ჩემი სპექტაკლი, რომელზეც ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, თავი არ დავზოგეთ, რათა გვეთქვა და გვეჩვენებინა მაყურებლისთვის, რომ ეს გრან პრი შემთხვევითი არ იყო და ჩვენ ამას ვიმსახურებდით. ბედნიერი ვარ, რომ ამ დასთან ვმუშაობ. იმედს ვიტოვებ, თავაწეულები წავალთ ამ ფესტივალიდან, - გვითხრა ეკატერინე სირაძემ.

„გემრიელად მიირთვით“ - ასე ერქვა ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასის საკონკურსო სპექტაკლს, რომლის რეჟისორი, კოსტიუმების მხატვარი და კომპოზიტორი ლექსო ჩემია გახლავთ. სპექტაკლი ქალთა ძალადობის თემაზეა და ასახავს, თუ როგორ წირავს საზოგადოება ქალს.

- სამწუხაროდ, ქალთა მიმართ ძალადობა დღეს ძალიან აქტუალური თემაა. ერეკლე დეისაძის ეს მონოპიესა რომ წავიკითხე, დავინახე არა მხოლოდ სპექტაკლი, არამედ სათქმელიც, საზოგადოების გულგრილობაც და, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტული სპექტაკლი დავდგით. გვინდოდა, მოზარდებსაც ენახათ, გულთან მიეტანათ მთავარი გმირის ტკივილი და ჩვენი გუნდის სათქმელიც. ვთვლი, რომ ძალიან წარმატებით გავუგზავნეთ ეს მესიჯი საზოგადოებას. ალბათ ბევრი დაფიქრდება და გააცნობიერებს, რომ ერთ ზარსაც კი შეუძლია ადამიანის სიცოცხლე იხსნას, - გვითხრა ლექსო ჩემიამ.

- ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი არის საერთაშორისო პლატფორმა, სადაც გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს არა მარტო ქართული თეატრები, არამედ უცხოური ტენდენციების გაცნობაც ხდება, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას, პროფესიონალიზმის დახვეწას და სიახლეების გაცნობას. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ვიგებთ, სად ვართ ჩვენ, სად არის ქართული თოჯინების თეატრი. რაღაც მიმართულებაში ვუსწრებთ დანარჩენ ქვეყნებს, რაღაცაში - პირიქით, უნდა დავეწიოთ. ხდება ტექნოლოგიების გაცნობა, ტარდება მასტერკლასები, სადაც კოლეგები ახალ მიღწევებს უზიარებენ. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალს აფასებენ კრიტიკოსები როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან, გადაწყვეტილებები მიიღება არა ქართულ მენტალობაზე დაფუძნებით, არამედ მხოლოდ პროფესიული კუთხით, - გვითხრა ფესტივალის ჟიურის წევრმა, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა.

ბათუმის თოჯინების მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დღეს გამარჯვებულთა დაჯილდოებით დაიხურება.

ცხოვრობდე სამშობლოში და გენატრებოდეს სამშობლო...

31 წელი სოხუმის დაცემიდან

მე-8 გვერდიდან

- 19 წლის შვილი მომიკლეს... ეს ჩემთვის რთული გასახსენებელია. გუდაუთაში სამი თვე ვიყავი ჩარჩენილი, ძალიან ბევრი სისასტიკე ვნახე და გავიგე. ცოლ-ქმარი ლობჟანიძეები იყვნენ, რაჟიკო ჩვენი სოფლის მთავარი აგრონომი იყო. მახსოვს, საღამოს მოვიდნენ აფხაზები, ჩეჩნები და რუსები. ჩავიდნენ რაჟიკოს მარანში, იქეიფეს, სახლში წასვლის დროს ცოლ-ქმარმა სტუმრები გამოაცილა. ეზოში ჭიშკრიდან გამოსვლის დროს ორივეს თავი მოაჭრეს და ჭიშკარზე ჩამოჰკიდეს, მერე ტრაქტორს მოაბეს და ათრიეს. ასევე ბორია თოფურია დაიჭირეს, ნაგავსაყრელზე წაიყვანეს, ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს იმიტომ, რომ ქართველი იყო. შემიძლია გავიხსენო მურად სორდია და ტულა გამსახურდია, რომლებიც მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ, საკუთარ ეზოში ჩაცხრილეს. ჩვენი სოფლიდან (ახალსოფელი) 25 ახალგაზრდა მეომარი ბიჭი დაიღუპა. გაგრა რომ აიღეს, ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა შეაგროვეს სტადიონზე, საბურავები ჩამოაცვეს და ცეცხლი წაუკიდეს. ადამიანების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ. მახსოვს, ერთი ქართველი ხეზე ჩამოჰკიდეს, საქონელივით გაატყავეს და რუსულად „იყიდება ქართული ხორცი“ მიაწერეს.

აფხაზებს არაფრის ეშინოდათ, რადგან რუსები პატრონობდნენ, ამიტომ, პირველ რიგში, რუსების ბრალია, რაც მოხდა.

ომის შემდეგ ყველაზე რთული სვანეთის გზა აღმოჩნდა, რომელსაც „გოლგოთის გზა“ შეარქვეს. მას მიუყვებოდა ათიათასობით ადამიანი გადარჩენის იმედით. მათ, პრაქტიკულად, არ ჰქონდათ საკვები და შიმშილისგან იღუპებოდნენ. განვლილ გზას ბატონი **მურმან კოპალიანი** იხსენებს:

- სვანეთის გზა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ყველაფერთან ერთად, საშინელი ამინდები დაემთხვა ჩვენს გადმოსვლას. გზად ძალიან ბევრი ადამიანი დაგვეხოცა იქვე ვტოვებდით, დამარხვის საშუალება არ გვქონდა. გზად კარვები იყო, სადაც ჩერდებოდნენ, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავდათ. მახსოვს, 70-80 ადამიანი არ გაჩერდა და ჩვენ თვალწინ ყველა ქარიშხალმა წაიღო. ბევრი ადამიანი გაიყინა, ბევრიც უღელტეხილზე ალპური ზონის გადალახვის დროს დაიღუპა. მე იქ ვიყავი, როდესაც დედას ბავშვი უღელტეხილიდან გადაუვარდა და თავადაც გადაჰყვა. მან მეორე ბავშვი მგზავრს დაუტოვა და სთხოვა, მიეხედა. მე პატარა ბავშვებით ვიყავი, მდინარის გადალახვისას ზურგზე ვიწექი და ბავშვები გულზე მეწვინა, რომ არ დამხრჩვალიყვნენ.

შეკითხვაზე - როგორ ესახებათ აფხაზეთში დაბრუნების გეგმა, **ალიოშა კოპალიანმა** მიპასუხა, რომ თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ამ ორგანიზაციამ აფხაზეთში უნდა დააყენოს საკუთარი ჯარი და აფხაზებსა და ქართველებს მოლაპარაკების საშუალება მიეცეთ. ამისთვის ომი საჭირო არაა.

ძალიან რთულია მოლაპარაკებაზე ესაუბრო შვილმკვდარ მამას, შვილს, რომელსაც დედ-მამა აფხაზებმა და რუსებმა დაუხოცეს და იქ დატოვა. ბატონმა ჯემალმა მითხრა: - შვილო, იმათთვის, ვისაც არ გამოუცდია ეს უბედურება, ძალიან მარტივია შერიგებაზე საუბარი, ჩემთვის კი შვილის მკვლელებთან ურთიერთობა მიუღებელია.

დევნილებთან საუბარი მძიმეც იყო და საინტერესოც. გერქვას დევნილი საკუთარ ქვეყანაში და გენატრებოდეს სამშობლოში სამშობლო, ამაზე სევდიანი რა უნდა იყოს. ამ ადამიანების თვალებში, სევდასთან ერთად, მონატრებაც დაბუდებულა.

დამშვიდობებისას მათ დავპირდი, რომ კვლავ ვესტუმრებოდი და მოვისმენდი მათგან ჯერ კიდევ უთქმელ ამბებს.

მსოფლიო ახალგაზრდული სერია – მაგიდის ჩოგბურთში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში მაგიდის ჩოგბურთის მსოფლიო ახალგაზრდული სერია გაიმართება, რომელშიც ათი ქვეყნის - ინგლისის, ისრაელის, ლატვიის, ამერიკის შეერთებული შტატების, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, უკრაინის, თურქეთისა და საქართველოს 120 სპორტსმენი იასპარეზებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან 28 სპორტსმენი გამოვა, მათგან 10 აჭარის წარმომადგენელია.

ფინალები და ნახევარფინალები 28 და 29 სექტემბერს გაიმართება.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საყურადღებოდ!

ფასიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი «აჭარა» ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია.

ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით.

დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62.

იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/09/24, 18 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ფესტივალი „ოქროს თვალი“ – საუკეთესო ოპერატორებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში ტელე და კინოოპერატორების საერთაშორისო ფესტივალ „ოქროს თვალის“ საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ქართული ტელეარხები, კინოსტუდიები და კინოკომპანიები

ამ ფესტივალის მიზანია, მოტივაცია მისცეს ოპერატორებს, ტელე-კინოინდუსტრიაში მომუშავე ადამიანებს და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ზრდას. გარდა საკონკურსო ღონისძიებისა, ფესტივალი შემეცნებით და საგანმანათლებლო ტრენინგებსაც მოიცავდა, სადაც უცხოელი ექსპერტები ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი რეჟისორები და ოპერატორები, მათ შორის: როჯერ სიმონსი (დიდი ბრიტანეთი, იმუშავა ფილმებზე: „ეშმაკი ატარებს პრადას“, „სექსი დიდ ქალაქში“, „კასლი“ და სხვა), მირჩა სურდუ (მოლდოვა), ნიკოლოზ აბრამიშვილი - ეროვნული კინოაკადემიის პრეზიდენტი, ნატალი სტიუარტ-ფოქსი (დიდი ბრიტანეთი) - ესპანეთი-საქართველოს საერთაშორისო ტურისტული კინოფესტივალის დამფუძნებელი, საერთაშორისო დიასპორული კინოფესტივალის დამფუძნებელი ესპანეთის ქალაქ მარბეაში, ირაკლი კიკვაძე - თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, იმედა თავდგირიძე - თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორი, ირაკლი კვირიკაძე - რეჟისორი (გადაღებული აქვს ფილმები: „ქვევრი“, „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“).

ტელე და კინოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ წელს მეთერთმეტედ ჩატარდა. იგი მუსიკალურად გააფორმა პატარა მომღერალმა მათე მარტიაშვილმა, ასევე, მაყურებლის წინაშე შესანიშნავი ნომრებით წარსდგნენ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდა“, მუსიკოსები: ნონა დიასამიძე, ვაჟა ტუღუში და ირაკლი ჯანაშია.

აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონიაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ოპერატორები მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელები გახდნენ. მათ სხვადასხვა ნომინაციაში გადაეცათ პრიზები. ბათუმის „საუკეთესო კადრის“ ავტორად მინდია მალაყმაძე დასახელდა, ასევე, „საუკეთესო კადრის“ ავტორებად სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ მაუწყებლის ოპერატორები - გიორგი ბერიძე, ვახტანგ თურმანიძე, რამაზ სურმანიძე და ერეკლე კუპრეიშვილი.

ფესტივალის გრანპრი ოპერატორებს დავით გუჯაბიძესა და გიორგი ხარებავას გადაეცათ. გამოვლინდა „სარისკო კადრის“ ავტორიც. ნომინაციაში გამარჯვებულად ტრაგიკულად დაღუპული ოპერატორი მიშო ბიძინაშვილი დასახელდა.

- ბათუმი გამორჩეულია საერთაშორისო ფესტივალების მასპინძლობით. აქ არაერთი ფესტივალი ტარდება, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის არის „ოქროს თვალი“, რომელიც დაარსებიდან მეთერთმეტე წელს ითვლის, ბათუმში კი მეორედ იმართება. აღსანიშნავია ამ ფესტივალის როლი ოპერატორებისა და ტელეკინოინდუსტრიაში მომუშავე ადამიანების მოტივირებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის ჭრილში, რაც ყოველწლიურად სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ოპერატორის პროფესია დიდ პასუხისმგებლობასა და რისკთან არის დაკავშირებული. ხშირად ისინი სიცოცხლით რისკავენ, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ოპერატორის ხედვაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღვიქვამთ მოვლენებს, რადგან ისინი იყენებენ კადრს, როგორც საკომუნიკაციო ენას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ პროფესიის მნიშვნელობას.

წლევანდელ ფესტივალში არაერთი ქართული ტელეარხი, კინოსტუდია თუ კინოკომპანია მონაწილეობდა, რაც მისასალმებელია. მინდა მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს, ჟიურის და მივულოცო ყველა გამარჯვებულს. თითოეულ მონაწილეს ვუსურვებ წარმატებებსა და წინსვლას, - განაცხადა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- მინდა აღვნიშნო, რომ ეს ფესტივალი გამოირჩევა იმ თემატიკით, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი, როგორც ტელე, ასევე, კინოოპერატორებისთვის, კინოინდუსტრიისთვის და ჟურნალისტიკისთვის. ვულოცავ თითოეულ გამარჯვებულს, ასევე, ნომინირებულ კანდიდატებს. მინდა აღვნიშნო, რომ მათი შრომის აღიარებისთვის ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული საღამო. ბუნებრივია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული პროფესიის დაფასება, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- ფესტივალის ფარგლებში დაწესებული იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნომინაცია - „სარისკო კადრი“, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორ მიშო ბიძინაშვილს სიკვდილის შემდეგ გადაეცა. ის სწორედ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. მსჯელობისას საორგანიზაციო ჯგუფი იყო ერთსულოვანი, რომ ეს ნომინაცია უპირობოდ მინიჭებოდა მიშო ბიძინაშვილს. სწორედ ამიტომაც არის ეს ფესტივალი მნიშვნელოვანი, რომ ასეთ ადამიანებს, ასეთ ოპერატორებს, პროფესიონალებს წარმოაჩენს, - გვითხრა ფესტივალის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირმა აბულაძემ.

- ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფესტივალში მონაწილეობა. მიხარია, რომ გავიმარჯვე ნომინაციაში, რომელსაც „ბათუმის ლამაზი კადრი“ ერქვა. მოხარული ვარ, რომ ბათუმში ასეთი ფესტივალი ჩატარდა. წარმატებებს ვუსურვებ მას და ბათუმელებს. მეამაყება, რომ ამ ლამაზი ქალაქის მკვიდრი ვარ, - გვითხრა ოპერატორმა მინდია მალაყმაძემ.

ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.

თეკლა მელაძის შემოქმედებითი გზა და ფერებით გადმოცემული სათქმელი...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი 15-ზე მეტი პერსონალური და 35-ზე მეტი ჯგუფური გამოფენის მონაწილე ***თეკლა მელაძე,*** *მხატვარი, რომლის 521 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში ინახება. 2014 წელს, 13 წლის ასაკში, „არტ ექსპო ნიუ-იორკის“ არსებობის ისტორიაში იგი ყველაზე პატარა მონაწილე გახლდათ. მის სახელს არაერთი წარმატება და ჯილდო უკავშირდება. თეკლა მელაძე თავისი შემოქმედებით მეტი სითბოსა და სიყვარულისკენ მოუწოდებს ადამიანებს. ამბობს, რომ მისი უპირველესი სევდაც და სიხარულიც სამშობლოა, რომელიც სურს, მალე გამთლიანებული და წელში უფრო გამართული იხილოს. მხატვრის ოცნებაა, მშვიდობიანი მსოფლიო მეტი მზითა და პურით, ომის, გაჭირვებისა და შიმშილის გარეშე.*

- მხატვრობით როდის დაინტერესდით?

- სკოლაში არ მქონია ინტერესი ხელოვნების მიმართ, სანამ საფრანგეთში ჩემი მშობლების მიერ ორგანიზებულ ქართული კულტურის დღეებზე არ მოვხვდი, სადაც ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ჯემალ და გიორგი კოხალაშვილებმა მოაწყვეს ვორქშოპი - ღია სივრცეში ხატავდნენ. დაახლოებით ორი საათის განმავლობაში 4-5 ტილო შექმნეს, რაც ჩემთვის საოცრების ტოლფასი იყო. ვერ წარმომედგინა, ასე მცირე დროში როგორ შეიძლებოდა რამდენიმე ნახატის შექმნა. გარდა ამისა, პარიზი ხომ თავად ხელოვნებაა და, შეიძლება ითქვას, ყველაფერმა ერთად წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. შემდეგ უკვე ზურაბ ნიჟარაძის სახელოსნო გახდა იმის ბიძგი და მოტივაცია, რომ დამეხატა. მახსოვს, როგორც კი გამოვედი მისი სახელოსნოდან, მაშინვე ვუთხარი მშობლებს, რომ მინდოდა, მასავით მეხატა. მათი ღიმილიანი სახეები მახსოვს 13 წლის ბავშვის ამბიციურ განაცხადზე - მეხატა მხატვარივით, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა. მშობლებმა გაითვალისწინეს ჩემი დაუოკებელი სურვილი და იმავე დღეს დაურეკეს ბატონ ზურაბს. მან მითხრა, რომ მეორე დღიდანვე დამეწყო ხატვა და ერთ კვირაში სახელოსნოში დამიბარა. მასთან 11 ნამუშევრით მივედი. მან მითხრა, რომ აუცილებლად გამეგრძელებინა ხატვა და არასდროს შემეწყვიტა ის. ხშირად მივდიოდი მის სახელოსნოში, ვიღებდი ძალიან ბევრ კარგ რჩევას.

- ხატვის დაწყებიდან რა დროის შემდეგ შექმენით ტილო და თქვით, რომ დიახ, მე ეს შემიძლია, მე მხატვარი ვარ?

- ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ მივედი იმ ეტაპზე, საკუთარ თავზე ვთქვა - მე ჩამოყალიბებული მხატვარი ვარ, თუმცა ყოველთვის მივისწრაფვი მეტი და მეტი განვითარებისკენ. ხატვის დაწყებიდან 4 თვეში მოწვევა მივიღე „არტ ექსპო ნიუ-იორკიდან“. მაშინ საერთოდ არ მქონდა წარმოდგენა, რა იყო „არტ ექსპო“. ჩემი მშობლების ოვაციებიდან და გაკვირვებიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ რაღაც საოცრებაში მოვხვდი. თავიდან უცნაური წერილი მივიღე, მათ ვერ დაიჯერეს ჩემი ასაკი - ფიქრობდნენ, რომ ნახატები, რომლებითაც დაინტერესდნენ, შეუძლებელი იყო 13 წლის ბავშვს დაეხატა. ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ყველაფერს. მომთხოვეს ნამუშევრების სხვადასხვა ზომით გადაგზავნა, ასევე გადამაგზავნინეს დაბადების მოწმობა და, რომ დარწმუნდნენ ჩემს ნამდვილობაში, დამიკავშირდნენ. ორგანიზატორებმა მითხრეს, რომ მე ვიქნებოდი ყველაზე პატარა მონაწილე მათი 37-წლიანი ისტორიის განმავლობაში. ასევე, მიმიწვიეს როგორც VIP სტუმარი, ჩემი ნამუშევრებიც უფასოდ შეიტანეს კატალოგში. მხოლოდ დღეს ვხვდები, რა საოცრება მოხდა.

- ტილოზე მუშაობისას განმარტოება გიყვართ, მუსიკას უსმენთ თუ რაიმე განსაკუთრებული სიმყუდროვის შექმნა გჭირდებათ?

- მხატვრებს, უმეტესად, განმარტოება უყვართ, ჩემს შემთხვევაში პირიქითაა - ადამიანები ხშირად შემოდიან ჩემს სახელოსნოში იქიდან გამომდინარე, რომ, ფაქტობრივად, ოკუპირებული მაქვს ჩემი მშობლების გამომცემლობის ტერიტორია. ხალხმრავლობაში ხატვა სულაც არაა ჩემთვის დისკომფორტული. პირიქით, ხშირად ვესაუბრები ხატვისას ადამიანებს, კითხვებსაც კი ვპასუხობ. ალბათ გაგიკვირდებათ და... მარტო რომ ვრჩები, ის უფრო მიქმნის უხერხულობას.

- დროთა განმავლობაში, ალბათ, იცვლება თემატიკა, სათქმელი... მაინც, რა მესიჯს უგზავნით ნამუშევრებით ადამიანებს?

- ნამუშევრებს ყოველთვის სერიებად ვაჯგუფებ. მათ შორისაა „სამშობლო“, რომლის გამოფენაც ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში მოვაწყვე. გარდა ამისა, მაქვს „მზიანი ღამის“ სერია, სადაც ერთგვარი მესიჯია - მეტი მზე და პური მსოფლიოს. ამ სერიაში ყველა ნახატი მუქ ფონზეა შესრულებული და ყველა მათგანზე ხატია მზე როგორც იმედი, რომელიც გაფანტავს ღრუბელს და ქვეყანას ფერადი სხივებით გაათბობს. „სამშობლოს“ სერიაში წარმოდგენილი მაქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემატიკასთან დაკავშირებული ნამუშევრები. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და როგორც ყველა ქართველს, მეც განსაკუთრებით მინდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები.

- ძირითადად, რომელი ფერით გამოხატავთ სათქმელს?

- ხშირად აღუნიშნავთ, რომ ოქროსფერი და ყვითელი ჭარბობს ჩემს ნამუშევრებში. ბავშვობიდან მიყვარს ფერები, რომლებსაც სითბო და პოზიტივი მოაქვს. მქონდა სურვილი, ოქროსფერში მეხატა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს საღებავი ჩვეულებრივზე ბევრად ძვირია, იმ პერიოდში ვერ გავბედე. გამოფენის შემდეგ, სადაც საკმაოდ ბევრი ნამუშევარი გავყიდე, შევიძინე ოქროსფერი საღებავები და დავიწყე ამ ფერში ხატვა. ოქროსფერი კიდევ იმიტომ მიყვარს, რომ კარგ ადამიანზე ხშირად იტყვიან, ოქრო ადამიანიაო. ჩემთვის ოქროსფერი იდეალურთან ასოცირდება, თუმც ძალიან მიყვარს მწვანე ფერიც.

- როგორც შემოქმედს, რა ემოციას გაძლევთ ბათუმი?

- ის ნამდვილად არის ჩემი შთაგონების წყარო. ძალიან მიყვარს დილის, შუადღის, საღამოს ცა, რომელიც ყოველთვის სხვადასხვანაირია, ყოველ ჯერზე სხვადასხვა ენერგეტიკა მოაქვს. დარწმუნებული ვარ, ბათუმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველა შემოქმედი ადამიანის, მათ შორის, ჩემს ცხოვრებაშიც.

- რა არის თქვენთვის ბედნიერება?

- ბედნიერებაა, რასაც ვაკეთებ, ამის გარდა, რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი, რომელიც ყოველთვის გვერდით მიდგას და ყველაფერში, რასაც ვაკეთებ, მხარს მიჭერს.

- რომ მოიპოვო ნდობა და სიყვარული...

- იცით, ბუნებრივად მოვიდა ეს ნდობა. ყოველთვის ვცდილობ, კარგი ენერგეტიკა ჩავდო ჩემს ნახატებში. დამთვალიერებლები ამას სულ აღნიშნავენ, რაც ძალიან მახარებს. ყოველთვის ვიღებ მათგან უკუკავშირს, რაც დადებითი კომენტარებით, ფრაზებით გამოიხატება.

- როგორია თქვენს წარმოდგენაში თეკლა მელაძის მომავალი?

- არავინ იცის, რა მოხდება ხვალ... მაგალითად, ვოცნებობდი, მოვხვედრილიყავი ისეთ აუქციონზე, როგორიც არის „შაპირო“. იმდენად ბუნებრივად და მოულოდნელად მოხდა ეს ჩემს ცხოვრებაში, ვერც კი წარმოვიდგენდი. ასეა, ხშირად რაღაც ძალიან ადრე ხდება, რაღაცას კი დიდი დრო სჭირდება. წინასწარ გეგმებზე არ ვსაუბრობ. ისე, ბევრი რამ მაქვს დაგეგმილი მომავალში და ვნახოთ, იმედი მაქვს, ისე გამოვა, როგორც ჩავიფიქრე.

- როგორ საქართველოში გინდათ იცხოვროთ, რა ფერი და ემოცია აკლია მას?

- ყოველთვის და ყველგან აღვნიშნავ, რომ ჩემი სამშობლო არის ძალიან ლამაზი. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას, მის კულტურას პატივს ვცემ, ყველას თავისებური სილამაზე აქვს, მაგრამ, ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, მაინც განსაკუთრებული ხიბლი და ეშხი ახასიათებს. ნამუშევრებშიც ჩემებურად ვცდილობ ავსახო მისი სილამაზე, თუნდაც იმ ტერიტორიების, რომლებიც იმედი მაქვს, ძალიან მალე დაგვიბრუნდება.

- ინტერესის სფერო...

- ცეკვა, მუსიკა. ვუკრავ სხვადასხვა ინსტრუმენტზე. გარდა ამისა, ვარ ესექსის უნივერსიტეტის ბაკალავრი ბიზნესისა და მენეჯმენტის განხრით, თუმცა მხატვრობა არის ის, რის გარეშეც, ფაქტობრივად, არ შემიძლია სიცოცხლე.